საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 1 მარტი. 2017 წ. №46 (8183), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

როცა ფოსტა მკვდარია!

დეზინფორმაცია, როგორც პოლიტიკა და მავნებლობა! ④

ენით დაკოდილი საქართველო

დავეხმაროთ პარლამენტარებს მილიონების კეთებაში! ⑤



ძველისძველი ისტორია „სომხურ ტრანზიტზე“ ⑧

შეიძლება თუ არა საარსებო მინიმუმით არსებობა? ⑨



„დანაშაული იგეგმებოდა უმაღლესი სასულიერო პირის მიმართ და ეს შესაძლოა, ყოფილიყო პატრიარქი“ ③

9+9+9+ლაშა ტუღუში

② რქენია მანიფესტი



ქართველების ბულგარული ნადავლი ⑩

ნორა არღვლიანი (კვიციანი) სასამართლომ გაამართლა ⑪

როსტომ ჩხეიძე ⑥

არაბულ შეგონებად: **ახლის ახალი აღთქმა**



იოსებ ჭუმბურიძე ⑦

გვყავს ვინ, გვყავს ვინ სხვა, უმეტეს ღირსეული?!



9+9+9+ლაშა ტულუში

ბოლოს და ბოლოს, გამოსავალი მოინახა!

ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი მიხვდა, სადაც იყო ძაღლის თავი დამარხული!

ბოლოს და ბოლოს, შეგვიძლია მშვიდად ვიძინოთ!

ცხრა პარტიამ იპოვა ის, რასაც ეძებდნენ — ერის საუკეთესო შვილები.

ცხრა პარტია დიდი ძალაა.

ცხრა პარტია სწორედ რომ ის დინამიტია, რომელსაც „ქართული ოცნების“ გადატეხვა შეუძლია.

ცხრა პარტია, ცხრა პარტიის თავმჯდომარე, ცხრა იმის მოადგილე და ცხრა კიდევ რიგითი წევრია. ეს რაც ნაღდია და ისე თითო კაცი კიდევ შეიძლება ჰყავდეთ „ზაგაეფნიკში“ ჩვენს თადარიგიან პარტიულ ლიდერებს.

ანუ ცხრა პარტია, ფაქტობრივად, გარანტირებული 27 კაცია. ეს კი, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სადღეისოდ რეგისტრირებულია 220(!) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, ანუ პარტია და ქვეყნის სადარაჯოზე ხიშტშემართული 660 (220X3) ფიცვერცხლნაჭამი პარტიელი დგას და სამშობლოს დედამამის სულს უტრიალებს, ამ ახალი საკოორდინაციო საბჭოს ხალხმრავალი (9X3) მრევლი სწორედ რომ დიდი იმედია ქვეყნისა, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ცხრა პარტიის ცხრა ხელმძღვანელს შორის არიან პაატა დავითაია(ო!), ბაჩუკი ქარდავა(ოო!), პადოშა (ოოო!) ნიკანორ მელია (ooooo!), შოთა მალაშხია (ooooooo!), ზურაბ ხარატიშვილი (ooooooooo!)...

ერთი სიტყვით, ooooooooooooo!!!...

მტერო, შენ გელის მოსპობა!

მტერო, შენ გელის სიკვდილი!

ჩახედავთ ამ ცხრა თავმჯდომარეს, ერთი შეხედვით უაზრო, მაგრამ სინამდვილეში უზღვავი ტვინით გადალესილ თვალებში და უმალ დარწმუნდებით, რომ ამ ადამიანებს მხოლოდ ქვეყნის ჯავრი აწუხებთ და მხოლოდ ქვეყნის მტერი დაუსახავთ მტრად.

ნიკანორ მელია ბრწყინავს შინაგანი ნათლით გასხივოსნებული. უყურებ და გჯერა, მისი ტვინი ისეთივე გლუვი და გადასწორებულია, როგორც მის თავის ქალაზე გადაკრული სილურჯემდე გაპარსული ტყავი...

პადოშა (გია თორთლაძე) კვლავ ძველებურად, პოლიტიკიდან გაუჩინარებამდელი სისხარტით აცეცებს თვალებს და გვარწმუნებს სიბრძნეში, შენ რას შემატებ ქვეყანას, შენთვის ღმერთს არა მოუცია რა.

ბაჩუკი ქარდავას მხარზე სიმძიმისგან დაყრდნობილი თავი და ნაღვლიანი თვალები ცხოვრების ამაოებაზე ჩაგაფიქრებს, ანუ როგორ ჩამოქვეითდა კვარივით ანთებული გია ჭანტურიას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ბაჩუკი ქარდავას მძიმე მელანქოლიამდე.

არ დაიჯეროთ, რომ კაი სმა-ჭამისგან გაღაჟღაჟებული პაატა დავითაია ქვეყანაზე ფიქრობდეს. მხოლოდ იმაზე ოცნებობს, კვლავაც როგორმე იტივტივოს პოლიტიკურ ტალღებზე.

შოთა მალაშხიამ და ხარატიშვილმა 1930-იანი წლების ცნობილი სპექტაკლის სათაურისა არ იყოს „მუნჯები ალაპარაკდნენ“ , თითქოს საიმედოდ დადუმებული ენები ამოიდგეს და თავიანთი სიტყვა შეაწიეს „ქართული ოცნების“ დამხობის საღვთო საქმეს.

მაინც რას ემართლება ქვეყანას ეს ცხრა „მოღვაწე?“

საქართველოს რა გამოულევს სამ, ხუთ თუ შვიდკაციან პარტიებს, ჰოდა მათაც დააანონსეს: „ციანიდის საქმე“, „რუსთავი-2“-ის საქმე, „ნაზღაიძის საქმე“, „ქალმა რომ ქმარ-შვილი მოკლა და იძახის, მე არ მომიკლავსო, იმისი საქმე“... ერთი სიტყვით, „საქმეს“ რა გამოლევს, რომელთა გამოც შეიძლება, გახვიდე და ტანსაცმელი შემოიხიო...

ცხრა პოლიტიკურმა პარტიამ მანიფესტს უკვე მოაწერა ხელი. მანიფესტი ძირითადად „სადღეისოდ უმთავრეს საკითხზე“ — „რუსთავი-2“-ის დასაცავად გაფორმდა. მასში ცალკე სწორედ ტელეკომპანიის საქმეა გამოყოფილი. „რუსთავი-2“-ის საქმის არასამართლიანი შედეგით დასრულების შემთხვევაში დაძმობილებული პოლიტიკური პარტიები ერთობლივად იმოქმედებენ (ოჰოჰოჰოჰო!). აქ განმარტებას აკეთებენ: **„რუსთავი-2“-ის საქმე წითელი ხაზია, რომლის მიღმაც ქვეყანაში უკონტროლო პროცესები დაიწყებაო(?!)**. ერთი სიტყვით, სარქენად ეპირებიან.

დაბოლოს, საკოორდინაციო საბჭო მიმართავს როგორც არასაპარლამენტო, ისე საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს და მანიფესტზე ხელმოწერას სთხოვს. საბჭოში შემავალი პოლიტიკური სუბიექტები ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციებს გეგმავენ.

ერთი სიტყვით, ასპარეზზე გამოდის დამრტყმელი ძალა „9+9+9+ლაშა ტულუში“. ამ „მიუკერძოებელმა“ ლაშამ უკვე დაუჭირა მხარი „ცხრაეულს“ და საერთოდ სულ რომ არ ეკითხება, ყოველთვის იქ ყოფს ცხვირს.

სანდრო ალექსიძე

გიორგი მარგველაშვილი:

საქართველოს შეუძლია, რუსეთის აგრესიას გაუძლოს და განვითარდეს!

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ორგანიზებით პრეზიდენტის სასახლეში ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე სტრატეგიული დისკუსია გაიმართა.

სტრატეგიული დისკუსიის მიზანია შესთავაზოს უსაფრთხოების სექტორს ინკლუზიური ფორმატი, სადაც პროფესიული განხილვების შედეგად გამოითქმება მოსაზრებები, გამოიკვეთება პრიორიტეტები და მომზადდება რეკომენდაციები ქვეყნის და რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკასთან მიმართებაში. დისკუსია ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა დავით რაქვიაშვილმა გახსნა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ჩვენმა ქვეყანამ იმ ღირებულებებისთვის, რომელსაც ევროკავშირი და ნატო წარმოადგენს, იმ ღირებულებებისთვის, რომლის ირგვლივაც გაერთიანებულია დასავლური სამყარო, მართლაც ძალიან ბევრი გაიღო.

„იმ ბანაკში, იმ ერთა ერთობაში, რომლის კულტურულ ნაწილადაც ჩვენ აღვიქვამთ საკუთარ თავს და რომლის წევრობისკენაც ჩვენ ნათელ ნაბიჯებს ვდგამთ, არის გარკვეული ფაზა კონსერვატიზმის, ან სირთულეების მიმართ პოზიციების ჩამოყალიბებისა და ფიქრის გარკვეული ფაზა. მე მჯერა, რომ საქართველო ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოთამაშე ხდება.

ჩვენ ბოლო 25 წლის განმავლობაში, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მსხვერპლი ვართ. ეს არ დაწყებულა 2008 წელს, ეს დაიწყო თავიდანვე, მაშინ, როდესაც ახალმა ქართულმა სახელმწიფომ 90-იან წლებში დააფუძნა თავისი დამოუკიდებელი იდენტობა და იმ დღიდან ქართული სახელმწიფო ვითარდება, იზრდება და ძლიერდება სწორედ სხვადასხვა ტიპის რუსული აგრესიის ფონზე.

ამ თვალსაზრისით ჩვენი საზოგადოება და სახელმწიფო ნათელი მაგალითია იმისა, რომ რუსეთს შეიძლება გაუძლო, რუსეთის აგრესიას გაუძლო და ამ აგრესიის ფონზე შეიძლება გადადგა ნაბიჯები შენი დამოუკიდებლობის, შენი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის მიმართულებით“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა დისკუსიის გახსნისას.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ახლა, როდესაც საქართველო კიდევ უფრო მტკიცე ნაბიჯებს დგამს როგორც ნატოს, ისე ევროკავშირის მიმართულებით, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ხმა, როგორც ქვეყნის და როგორც ერის, რომელმაც რეალურ ისტორიაში, ჩვენი წინა თაობის ფონზე, თავის თავზე აიღო ძალიან მძიმე დარტყმები და მაინც არ შეცვალა თავისი კურსი, დღეს ნათლად ჩანს, რომ არის რთული დაპირისპირება, რომლის პროცესშიც ჩვენ გვჭირდება ჩვენი მოკავშირეების კიდევ უფრო დარწმუნება, ჩვენი მოკავშირეებისთვის ნათლად იმის ჩვენება, რომ უკან დახევა ამ ღირებულებებისგან და პარტნიორობისგან იქნება პრობლემური და შეიძლება, ტრაგიკულიც იყოს ბევრი ერისა და ქვეყნისათვის, ბევრი ადამიანისთვის, მაგრამ ნათლად ჩანს 25 წლის მანძილზე, რომ საქართველოს არ შეუცვლია თავისი ორიენტაცია და არც მომავალში არ შეცვლის.

მე ვხედავ ჩვენს სახელმწიფოს, როგორც ამ დაპირისპირების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ მოქმედ პირს და ასევე ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ მაგალითს იმის საჩვენებლად, რომ დაპირისპირება ღირებულებით ნაწილში საბოლოოდ წარმატებით დაიძლევა“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებმა, თავდაცვისა და უშიშროების სექტორის ქართველმა და საერთაშორისო ექსპერტებმა.

საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევებზე მოხსენებით გამოვიდნენ ასევე, გამომცემლობა The Economist-ის მთავარი რედაქტორი ედვარდ ლუკასი და Penguin Random House-ის თავმჯდომარე ჯონ მაკინსონი.

დისკუსიაზე იმსჯელეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესზე, საქართველოს როლზე შავი ზღვის აუზის ქვეყნების სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ევროატლანტიკური სივრცის წინაშე არსებულ გამოწვევებზე და მათთან ერთობლივად გამკლავების გზებზე.

ცვლილებები დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმებში

განსახლების კრიტერიუმებში შეტანილი ცვლილებები გუშინ დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა ჟურნალისტებს გააცნო.

„მოგეხსენებათ, რომ დევნილების ბინით უზრუნველყოფა ხდება გარკვეული კრიტერიუმებით, ეს კრიტერიუმები ვითარდება და ხდება რეალობის შესაბამისი.

თუკი დღემდე, მთავარი აქცენტი პირველ რიგში სოციალურად შეჭირვებული დევნილების ბინით დაკმაყოფილებაზე კეთდებოდა, ახლა სოციალურ კრიტერიუმთან ერთად წინა პლანზე მრავალშვილიანობის კომპონენტი წამოვიდა. ამ დრომდე ერთი ქულა ენიჭებოდა დევნილ ოჯახს, რომელსაც ჰყავს 3 შვილი და ყოველ შემდგომ შვილზე ემატებოდა ნახევარი ქულა. ცვლილებების თანახმად, 3-ის ნაცვლად 2-შვილიან დევნილ ოჯახს ენიჭება ერთი ქულა და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით ერთი ქულა. მაგალითად, ახალი კრიტერიუმების მიხედვით, დევნილ ოჯახს, რომელსაც ჰყავს 5 შვილი, 4 ქულა ენიჭება, 5 შვილის შემდგომ კი დამატებით 0,5 ქულა. ეს ცვლილება უფრო მეტ შანსს აძლევს მრავალშვილიან დევნილ ოჯახებს, რომ ამ ეტაპზე დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ფართით“.

ცვლილებების თანახმად, ოჯახი, რომლის წევრიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ბრძოლის ვეტერანი და მინიჭებული აქვს ეროვნული გმირის ორდენი, 2 ქულის ნაცვლად, 3 ქულას მიიღებს. ასევე ნახევარი ქულით გაიზარდა წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე, დავით აღმაშენებლის ორდენსა და ვახტანგ გორგასლის ორდენზე მინიჭებული ქულების რაოდენობა. გარდა ამისა, თუ ომის ვეტერანი გარდაიცვლება, მის ოჯახს უნარჩუნდება როგორც ვეტერანის 1,5 ქულა, ასევე მის მიერ მიღებული ყველა ჯილდოს შესაბამისი ქულა. ცვლილებების მიხედვით, დაზუსტდა და მკაცრად გაიწერა განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელი პირობების განმარტება, რათა არ მოხდეს ამ საკითხის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაცია.

„დანაშაული იგეგმებოდა უმაღლესი სასულიერო პირის მიმართ და ეს შესაძლოა, ყოფილიყო პატრიარქი“

ე.წ. ციანიდის საქმეზე პროკურატურის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე მედიას კიდევ ერთ ინტერვიუს აძლევს. ამჯერად „იმედთან“ საუბარში მამალაძე აცხადებს, რომ დაკავებული დეკანოზი მარტო არ მოქმედებდა და ეს მომავალშიც გამოჩნდება. მოწმის განცხადებით, მტკიცებულებები არის საკმაოდ მყარი, ჩანაწერები კი, რომელშიც სხვა პირებიც ფიგურირებენ – მძიმე მოსასმენი. მამალაძე კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ჩანაწერები მან თავად გააკეთა, რადგან ფიქრობდა, რომ არ იყო ჯანსაღი სიტუაცია. მამალაძე აცხადებს, რომ ყველაზე მეტი სათქმელი მამა გიორგი მამალაძეს აქვს, რომელმაც, არ უნდა აიღოს ეს მძიმე დანაშაული საკუთარ თავზე და მან აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს გამოძიებასთან. ირაკლი მამალაძეს არ სჯერა, რომ მამა გიორგი ამ საქმეში მარტო მონაწილეობდა. მისივე თქმით, არავინ იცის, ვისი ხელით იგეგმებოდა ლიკვიდაცია.

„სურათით, რომელიც არსებობდა და პროცესით, რომელიც მიმდინარეობდა, დიდი ალბათობით მეც ჩვეულებრივად გავხდებოდი ამ დანაშაულის თანამონაწილე. თავიდან რაც ითქვა, რომ განმცხადებლის მიერ დაფიქსირდა, რომ დანაშაული იგეგმებოდა უმაღლესი სასულიერო პირის მიმართ და ეს შესაძლოა, ყოფილიყო პატრიარქი, ეს პირდაპირ არის განცხადებაში, ასე რომ, ვერავინ იტყვის, რომ პროკურატურამ იცრუა და შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება. ასე დაიწყო გამოძიება, ასე მივუთითე მე. მე დავინახე ეს საფრთხე, თორემ სხვას კი არ დაუნახავს. მე ვხვდებოდი მამა გიორგის და მე მქონდა მასთან ურთიერთობა. პირადად მითხრა, ზოგადი სურათი გამოიკვეთა თუ ერთობლიობის შედეგად დავინახე ეს საფრთხე, ამას გამოძიება იტყვის“, – აცხადებს მამალაძე.



ადვოკატები დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის უსაფრთხოებას მოითხოვენ

მკვლელობის მომზადების ბრალდებით დაკავებული დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები ე.წ. მატროსოვის ციხეში მივიდნენ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლამდე კომენტარი ერთ-ერთმა უფლებადამცველმა გიორგი ფანცულაიამ გააკეთა. ადვოკატმა დეკანოზის მიერ მიცემულ ჩვენებასთან დაკავშირებით ისაუბრა. დაცვის მხარე ჩვენების მიცემის შემდეგ ბრალის ფორმულირების შეცვლის იმედს გამოთქვამს.

გიორგი ფანცულაიას თქმით, მამა გიორგი მამალაძემ დეტალურად უპასუხა ყველა იმ კითხვას, რომელიც ციანიდის არსებობას და იარაღის საკითხს ეხებოდა. რაც შეეხება კითხვებს, რომელზეც ბრალდებულმა გამოძიებას არ უპასუხა, ფანცულაიას თქმით, კითხვები იყო ზოგადი და მათზე პასუხის გაცემამდე მამა გიორგი მამალაძემ ოჯახის უსაფრთხოების გარანტიები მოითხოვა. ადვოკატის ინფორმაციით, დაცვის მხარემ დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნით, პროკურატურას ოფიციალურად უკვე მიმართა.

ჯარჯი წიკლაური: სხვადასხვა ინფორმაცია მოვისმინეთ, კიდევ უფრო მეტი კითხვა გაგვიჩნდა

პროკურორი ჯარჯი წიკლაური აცხადებს, რომ გამოძიებას დაკითხვის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო მეტი კითხვა გაუჩნდა. მისივე განცხადებით, პროკურატურის ინტერესებშია გამოძიების სრულყოფილი და ობიექტური ჩატარება.

„დადებითად ვაფასებთ, რომ ბრალდებულმა გადაწყვიტა ჩვენების მიცემა. ჩვენს ინტერესებშია გამოძიების ობიექტური და სრულყოფილი ჩატარება. არსებობს ბევრი კითხვა და დღეისთვის ვერ მოხერხდა ამ კითხვების დასმა. კიდევ უფრო მეტი კითხვა გაგვიჩნდა, როდესაც დღეს სხვადასხვა ინფორმაცია მოვისმინეთ. ბუნებრივია დაისმება შეკითხვები და ბრალდებულს მოუწევს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. ვინაიდან არ დასრულებულა ბრალდებულისგან სრულყოფილი ინფორმაციის მოსმენა და დაკითხვის პროცედურები უნდა გაგრძელდეს, დღეისთვის რაიმე შეფასების გაკეთება არასერიოზულია. პირველივე შესაძლებლობისთანავე გაგრძელდება ბრალდებულის დაკითხვა. ეს შეიძლება იყოს ხვალ, ეს შეიძლება იყოს ზეგ“, – განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა.



საქართველო მდგრადი ურბანული ტრანსპორტის ეროვნულ სტრატეგიას შეიმუშავებს

მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სამომავლო სტრატეგიისა და პოლიტიკის შესახებ სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ იმსჯელეს. შეხვედრის მონაწილეებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ნილს სკოტმა მიმართეს. მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია ხელს შეუწყობს ქვეყანას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ურბანული სატრანსპორტო სისტემების განვითარებაში.

სტრატეგიას შეიმუშავებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით. ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ინიციატივის გამოცდილება „მწვანე“ ქალაქები: ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის“, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიურად უსაფრთხო ურბანული ტრანსპორტის შემოღებას ბათუმში.

სტრატეგიის შემუშავება არასამთავრობო ორგანიზაციასთან „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ და ჰოლანდიურ ორგანიზაციასთან „MOVE Mobility“ თანამშრომლობით განხორციელდება.

მნიშვნელოვანი ახალი უსაფრთხოების ინფორმაცია

ფეთქებადსაშიშია

დამატებითი გაზის კონექტორებიანი ბრენდული სამზარეულოს ტექნიკა:

BOSCH SIEMENS

BSH Ev Aletleri Sanayi ve Ticaret A.Ş. აფართოებს გაზზე მომუშავე სამზარეულოს მოწყობილობებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების კამპანიას დამონტაჟებული გაზის კონექტორების პოტენციური დაზიანების გამო. ზოგიერთ შემთხვევაში, გაზის გაჟონვა შეიძლება იყოს უკონტროლო, და იშვიათ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს აფეთქების რისკი.

აღნიშნული ეხება შემდეგ გაზზე მომუშავე სამზარეულოს ტექნიკას საქართველოში:

ბრენდი	პროდუქტის ტიპი	აირის ტიპი	გამოშვების თარიღი (თვე/წელი)
Bosch	ჩაშენებული ღუმელი	ბუნებრივი ან თხევადი	01/2009 -10/2011
Bosch	დამოუკიდებლად მდგომი გაზქურა	ბუნებრივი ან თხევადი	08/2006 -10/2011
Bosch	მაგიდის გაზქურა	თხევადი	01/2009 -10/2011
		ბუნებრივი	01/2004 -10/2011
Siemens	ჩაშენებული ღუმელი	ბუნებრივი ან თხევადი	01/2009 -10/2011
Siemens	დამოუკიდებლად მდგომი გაზქურა	ბუნებრივი ან თხევადი	01/2009 -10/2011
Siemens	მაგიდის გაზქურა	თხევადი	01/2009 -10/2011
		ბუნებრივი	01/2004 -10/2011

BSH Ev Aletleri Sanayi ve Ticaret A.Ş. მოუწოდებს ყველა ჩამოთვლილი სამზარეულო მოწყობილობის მყიდველს შეამოწმონ, ვრცელდება თუ არა აღნიშნული უსაფრთხოების კამპანია მათ მოწყობილობაზე. კერძოდ, ჩვენ მომხმარებლებს, რომლებმაც უკვე შეამოწმეს თავისი მოწყობილობის ნომერი, და რომელთა გაზის კონქტორებსაც წარსულში არ ჭირდებოდა შეცვლა, ასევე ვთხოვთ, კიდევ ერთხელ შეამოწმონ თავიანთი მოწყობილობები. BSH წუნდებული მოწყობილობის თითოეულ მფლობელს სთავაზობს გაზის კონექტორის უფასოდ შეცვლას ავტორიზებული ინჟინერის მიერ მფლობელის სახლში.

შეამოწმეთ, დაზიანებულია თუ არა თქვენი მოწყობილობა შემდეგი გზით:

1. გთხოვთ, ჩაწეროთ მოდელის ნომერი (E-№) და სერიული ნომერი (FD) თქვენი მოწყობილობის მოდელის ფირფიტაზე (იხ. სურათი მარჯვნივ).
2. ამის შემდგომ www.gascookingsafety.com -ზე შეამოწმეთ დაზიანებულია თუ არა თქვენი მოდელი. თუ დამატებით გესაჭიროებათ დახმარება, შეგიძლიათ დარეკოთ უფასო ნომერზეც.



მიაქციეთ ყურადღება: იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ ყველა შესაძლო საფრთხე, დაზიანებული მოწყობილობის მფლობელებმა დაუყოვნებლივ უნდა გამორთონ გაზის მიწოდება და არ გამოიყენონ ის, სანამ დამაკავშირებელი მოწყობილობა არ შეიცვლება.

ბოდიშს გიხდით შეფერხებისთვის. თუ შეგექმნათ პრობლემა თქვენი მოწყობილობის დაზიანების შემოწმებასთან დაკავშირებით, ან გაქვთ დამატებითი კითხვები დაგვიკავშირდით ვებ-გვერდის მეშვეობით ან უფასო ნომერზე დარეკვით.

www.gascookingsafety.com

BSH EV Aletleri Sanayi ve Tİcaret A.Ş.
სულთან მეჰმედ ფათიჰის რაიონი, ბალკანეთის ქ. 51,
უმრანიე სტამბული - თურქეთი

მოდელის ნომერი (E-№) / სერიის ნომერი (FD)



ავტორიზებული სერვის ცხელი ხაზი ელიტ სერვისი
Bosch: + 995 32 2 300 020 Siemens: +995 32 2 300 050

BSH საყოფაცხოვრებო ტექნიკის ჯგუფი არის Siemens AG-ის Siemens-ის ბრენდისა და Robert Bosch GmbH-ის Bosch-ის ბრენდის სავაჭრო მარკების ლიცენზიების მფლობელი.

დეზინფორმაცია, როგორც პოლიტიკა და მავნებლობა!

მავნებლობის ერთ-ერთი ამაზრზენი ფორმა და საზოგადოების დამაზიანებელი იარაღია დეზინფორმაცია, მისი შეგნებული და მიზანმიმართული გავრცელება. ის თესავს ეჭვს და ამახინჯებს ფაქტებს, ახდენს ადამიანთა და სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციას, ფუთავს ფაქტებს ჭორებისა და ფაბრიკაციის საფარქვეშ. ეს ყველამ იცის, ყველა აღიარებს, მაგრამ ამ ქმედებას ზოგჯერ ამართლებენ კიდეც. ესაა პრობლემა, ყველაფერი დანარჩენი წვრილმანებია, რასაც პირადი გამორჩენის დაღი აზის.

დეზინფორმაცია 21-ე საუკუნის ქსელური დაავადებაა და ვირუსივით ადვილად ვრცელდება. ეს პრობლემა ვერ შეიფუთება ვერც „თავისუფალი სიტყვის“ ლოზუნგით და ვერც ვიღაცის პოლიტიკური თუ კერძო ბიზნეს-ინტერესებით (არჩევნები, რეიტინგი, კონკურენცია). საშუალო და დაბალი ანალიტიკური უნარის მქონე მასა დემაგოგიას ღრუბელივით ისრუტავს.

სწორედ ამიტომ, ამ მასას შულერივით არ უნდა მოექცე, არ უნდა გააცურო, არ უნდა მოატყუო, ბრიყვად არ უნდა ჩათვალო – ეს მამაძაღლობაა! მამაძაღლობა კი, როგორც ქმედება, არასდროს ყოფილა თავისუფალი არჩევნის და თავისუფალი სიტყვის მონაპოვარი, ის მავნებლობაა და საზოგადოებისთვის დამაზიანებელია.

არის ამ მედლის მეორე მხარეც – სახელმწიფოს პროპაგანდისტული გეოპოლიტიკა. მაგალითად, „Sputnik“, „Russia Today“, „RTR“ – რუსეთის სახელმწიფო მიზნებს ემსახურება და პოლიტიკურ დეზინფორმაციას ავრცელებს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ. ისინი თესავენ ტყუილს მსოფლიოს 30 ენაზე და მუხლჩაუხრელად მუშაობენ! ამაში იღებენ ხელფას. მასშტაბები და ხარისხი კი სრულიად ვულგარული და უპრეცედენტოა. ესეც მავნებლობაა და ემსახურება მსოფლიო წესრიგის მოშლას, მაგრამ გეოპოლიტიკური შინაარსი და დატვირთვა აქვს.

თავის დროზე, საბჭოთა პროპაგანდა, შინ თუ გარეთ სწორედ მსგავსი დეზინფორმაციული მეთოდებით სარგებლობდა და ემსახურებოდა საბჭოთა იმპერიის გაძლიერებას. შედეგად მივიღეთ დაკომპლექსებული, რობოტიზებული, ნებაწართმეული და კონფორმისტული საბჭოთა ადამიანების რამდენიმე თაობა. მათ ნაწილს სჯეროდა, რომ „ნათელ მიზანს“ ემსახურებოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ რა იყო პატრიოტიზმი, როგორც თავისუფალი ადამიანის ძირითადი ინსტინქტი, საკუთარი ქვეყნის – საქართველოს სახელმწიფოს არსი, როგორც მიზანი, და არ იბრძოდნენ ამ მიზნისთვის, გარდა დისიდენტებისა. ისინი სულიერად და ფიზიკურად კარგად იკვებებოდნენ, და მეტი არც არაფერი სურდათ – კონფორმისტები იყვნენ.

დღეს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში, ტვინების რეცხვის განუზომლად უფრო ძლიერ ინსტრუმენტად გვევლინება მასმედია – ტელევიზია, პრესა, უამრავი საინფორმაციო ინტერნეტ-პორტალი, და მათი მომსახურე პერსონალი – ჟურნალისტები. ამ ჟურნალისტების წვრთნა ხდება სპეციალურ, სიცრუის სწავლების „ფაბრიკებში“, სპეციალიზაცია კი მიზნის შესაბამისად ხდება. ასე იჩეკებიან „თავისუფალი“ ჟურნალისტები, მანიპულატორები, „ტროლები“, პროგრამისტები, კლავიატურაზე მოკაკუნე კოდალები და ტელე-დემაგოგები, რომლებიც გვარიგებენ ჭკუას, მოგვიწოდებენ, გვიკიჟინებენ და გვასაღებენ თავიანთ პროდუქციას, როგორც უზადო, საღ აზრს!

ინფორმაცია არამატერიალური პროდუქტია და ნაკლებად ექვემდებარება სტანდარტიზაცია-უნიფიკაციას, ხარისხის კონტროლს და ა.შ. ამიტომ, ქვეყნის შიგამოხმარებისთვის წარმოებული და გავრცელებული საინფორმაციო პროდუქტის სტანდარტი, თუ მსმენელს ან საკუთარ თავს პატივს ვცემთ, უნდა იყოს შინაგანი ცენზორი, მორალური ფილტრი – მიუკერძოებლობა, პატიოსნება, სამოქალაქო ვალდებულება. საჯარო სიტყვა, მასმედია კვებავს, ზრდის საზოგადოებას და ქმნის პოლიტიკას, ან ანგრევს ერთსაც და მეორესაც. იმის მიუხედავად, რომ დეზინფორმაცია გლობალურად, თანამედროვე პოლიტიკური სამყაროს ენაა, დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი მხილება და გაფილტვრა სულ ადვილად

დეზინფორმაცია მძლავრი იარაღია. მაგრამ, თუ მისი გამოყენება სახელმწიფოს გარეთ – სახელმწიფო პოლიტიკაა, სახელმწიფოს შიგნით – ის მავნებლობაა და ქვეყნის დასუსტებას იწვევს.

ორივე შემთხვევაში, დღევანდელი მოცემულობით, დეზინფორმატორი (მაგალითად, „რუსთავი-2“) იგივე ტერორისტია, რომელიც მუშაობს საზოგადოების აფეთქებაზე – ან საკუთარი, ან სხვა სახელმწიფოს წიაღში!

შეიძლება, ჩაკეტილ ან დაპირისპირებულ საზოგადოებაში – ძნელად. ექსპერტები განმარტავენ, რომ „იმ საზოგადოებებში, ჩვენ რომ ცივილიზებულს ვუწოდებთ, მუშაობს პირობითობათა სისტემა, რომელიც აწესრიგებს, რომ დეზინფორმაციამ რაღაც ზღვარს არ გადააჭარბოს. საკუთარ თავს სცემენ პატივს. ეგრეთ წოდებულ ახალი დემოკრატიის ქვეყნებში კი ეს პირობითობები ჯერ არ მუშაობს“. ამიტომ, აქ დეზინფორმაციის ისეთ პრეცედენტებს ვხვდებით, სხვაგან უკვე წარმოუდგენელიც რომაა. ამასთან, დაპირისპირებულ მხარეებს (ქვეყნებს, პოლიტიკურ ორგანიზაციებს, საზოგადოებას) შორის სიყალბე და დეზინფორმაცია ყოველთვის უარეს და უვარგის მხარეს სჭირდება თავისი მავნე მიზნების მისაღწევად. ტრიუკი მარტივია: ინფორმაციული სიყალბე კლავს რეალობას – სიკეთეს ბოროტებად წარმოაჩენს, გონიერებას – სიბრიყვედ, პატიოსნებას – უსინდისობად და პირიქით... ეს ჯადოსნური ინსტრუმენტი უნივერსალურია.

ამ ყველაფერს ვერ ავკრძალავთ და ვერ გავაჩერებთ – უბრალოდ, თავისი სახელი უნდა დავარქვათ! და არ უნდა ვეცადოთ, შევფუთოთ ეს სიმახინჯე ჩვენი განსხვავებული გემოვნების და ინტერესების შესაბამისად.

მოკლედ, დეზინფორმაცია მძლავრი იარაღია. მაგრამ, თუ მისი გამოყენება სახელმწიფოს გარეთ – სახელმწიფო პოლიტიკაა, სახელმწიფოს შიგნით – ის მავნებლობაა და ქვეყნის დასუსტებას იწვევს.

ორივე შემთხვევაში, დღევანდელი მოცემულობით, დეზინფორმატორი (მაგალითად, „რუსთავი-2“) იგივე ტერორისტია, რომელიც მუშაობს საზოგადოების აფეთქებაზე – ან საკუთარი, ან სხვა სახელმწიფოს წიაღში!

სისტემა!

რა უზრუნველყოფს თანამედროვე სახელმწიფოს სიძლიერეს და სტაბილურ განვითარებას?! პოლიტიკური ლიდერი? რესურსები? წარმოება? – არა! მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტები, მათი სისტემა! კერძოდ, პარლამენტი, სასამართლო, ოპოზიციური პარტიები, ტერიტორიული თვითმმართველობა და ადგილობრივი მმართველობა, მასმედია, სამოქალაქო საზოგადოება, და ყველა ამ ინსტიტუტის სიძლიერე. და კიდევ – აღმასრულებელ ხელისუფლებაში მყოფი პატრიოტი, ნორმალური და წესიერი ადამიანები.

ამ ყველაფერთან ერთად, განსაკუთრებული როლი, ჩემი აზრით, ენიჭება თავისუფალ და ძლიერ ბეჭდურ პრესას, რაც ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ავანსცენაზე, ფაქტობრივად, არ ჩანს. ამიტომაცაა, რომ აქ მხოლოდ მყვირალა ტელევიზიები ბატონობენ, რაც მხოლოდ ჩამორჩენილი საზოგადოების ნიშანია.

დავაკვირდეთ აშშ-ის მასმედიას – პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ამინდს იქ ბეჭდური გამოცემები ქმნის: The Wall Street Journal, The Washington Post და ა.შ.

ჩვენ გასართობი „კინოთეატრი“ კი არ გვჭირდება ტელევიზიების სახით, არამედ „ბიბლიოთეკა“ გვინდა ბეჭდური გამოცემების სახით, რათა ქართველი სეირის მოყვარული „მაყურებელი“ მოქალაქე, მოაზროვნე „მკითხველად“ იქცეს.

ახლა ვნახოთ, ზემოთ ჩამოთვლილიდან, რომელი ინსტიტუციაა საქართველოში „საშუალოდ“ ნორმალური?! ვფიქრობ, არცერთი! და როგორი ქვეყანა გამოდის საქართველო? – „საშუალოდ“ არანორმალური! თავისი უვარგისი ინსტიტუტებით, უვარგისი მასმედიით, მხოლოდ პროცესების „მაყურებელი“ მოქალაქეებით და ყველაფრის „მცოდნე“ დემაგოგებით... საზოგადოებრივი აზრიც, შესაბამისად, ყალიბდება ირაციონალურად: უნიჭო და აჟიტირებულ აქტივისტებზე დამოკიდებულებით, მეათეხარისხოვან თემებზე აპელირებით, სანახაობებზე აქცენტირებული აჟიოტაჟით, ბოღმით და დაპირისპირებით შობილი იმპულსებით...

შედეგად, როგორი არჩევნები შეიძლება ჩატარდეს აძ ასეთი არაინფორმირებული და ირაციონალურად



მოაზროვნე ამომრჩევლით? დიახ ბატონო – ირაციონალური! ვიდრე საზოგადოება არ გახდება მოაზროვნე მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი...

ნუკრი მიხანაშვილი

როცა ფოსტა მკვდარია!

რედაქციისგან: ავტორი უთუოდ მართალია, როცა წერს, რომ დღეს დეზინფორმაციის შეგნებული და მიზანმიმართული გავრცელება მავნებლობის ერთ-ერთი ამაზრზენი ფორმა და საზოგადოებას დამიზნებული იარაღია, რომელიც ფუთავს ფაქტებს ჭორებისა და ფაბრიკაციის საფარქვეშ, რომ დღეს მხოლოდ მყვირალა ტელევიზიები ბატონობენ, რაც მხოლოდ ჩამორჩენილი საზოგადოების ნიშანია.

და აი, ასეთი ნამდვილად სატელევიზიო გაჯერებულობის გამო საზოგადოებრივი ჩამორჩენილობის პირობებში მართლაც განსაკუთრებული როლი ენიჭება თავისუფალ და ძლიერ ბეჭდურ პრესას, მაგრამ, ძალიან დიდად სამწუხაროდ, ის, ფაქტობრივად, არ ჩანს ჩვენი ცხოვრების ავანსცენაზე და თავის იდეოლოგიურ ზემოქმედებასაც ჯეროვნად ვერ ახდენს ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე, რაც, უწინარეს ყოვლისა, თვითონ სახელმწიფოს ბრალია.

როცა სახელმწიფო ბრალზე ვლაპარაკობთ, უმეტესწილად ტელევიზორს მიჩერებულ მკითხველს ვგულისხმობთ, რომელსაც საშუალება არა აქვს სახელმწიფო თუ კერძო ფოსტის იმედად გამოიწეროს რომელიმე გაზეთი ან ჟურნალი.

საქართველოს გარდა, ალბათ, მსოფლიოში არ არის მეორე ქვეყანა, სადაც ფოსტა უგულებელყოფილია, უფრო სწორად, თითქოს არის, თანაც როგორც სახელმწიფო, ისე კერძოც, მაგრამ ვერც ერთი აშკარად ვერ ასრულებს თავის ესოდენ საჭირო, დროის შესაბამის დანიშნულებას.

ჩვენს სადარბაზოებში უკვე დიდი ხანია, აღარ კიდია საფოსტო ყუთები, რადგან ფოსტა ხელმომწერისთვის მკვდარია, ადგილზე „სიძვირის“ გამო პრინციპულად არ მიაქვს ხელმოწერილი გამოცემებიც კი.

ნუთუ შეიძლება, რომ ხელისუფლებას არ ესმოდეს, რაოდენ დიდ იდეოლოგიურ შეცდომას სჩადის, როდესაც ტელევიზიისგან ყოველდღიური ტყუილ-მართლით თავბრუდახვეულ მკითხველს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ გამოიწეროს და შინ მიიღოს დღეს ასე აუცილებელი ბეჭდური პრესა?!

ნუთუ არც ის ესმის, როგორც წესი და რიგია, ხელისუფლებას, რომ „ფოსტის სიკვდილით“ მკითხველზე მეტად უწინარესად თავადვე ზარალდება, რადგან მართალ ბეჭდვით სიტყვას უზიარებელი მკითხველი ბევრად ადვილი წამოსაგებია ხელისუფლების კრიჭაში ჩამდგარი დესტრუქციული ოპოზიციისთვის, რომლის ერთადერთი მიზანია მოტყუებული ხალხის ძალისხმევით სახელმწიფოს სათავეში მოსვლა?!



დავეხმაროთ პარლამენტარებს მილიონების კეთებაში!

უნდა ვაღიარო, ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა ჩვენი უქონელი და უმწეო პარლამენტარებისადმი უანგარო დახმარების იდეით განვიმსჭვალე. ჩვენი გაზეთის მკითხველებს ალბათ ახსოვთ, ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ გამოვაქვეყნე წერილი, რომლითაც ქუთაისის გზაზე წაღმა-უკუღმა მორბენალი დეპუტატები პარლამენტის მაშინდელი სპიკერის დავით უსუფაშვილის მწვავე ადმინისტრაციული სანქციებისგან ვიხსენი. საქმე ის იყო, რომ იმ სირბილ-სირბილში დეპუტატებს დიდი დრო ეკარგებოდათ, იქით ბიზნესი უვარდებოდათ და აქეთ კიდევ პარლამენტის სხდომებზე დაუსწრებლობის გამო, სპიკერი სასჯელის დადებით ემუქრებოდათ. ჩემმა მხარში დგომამ, რა თქმა უნდა, პოზიტიურად იმოქმედა მაშინდელ სიტუაციაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობაზეც. ადრე თუ ბიზნესმენის გადეპუტატება საკვირველებად აღიქმებოდა, ახლა პარლამენტი ერთიანად გაძეძგილია ფულიანი ბიზნესმენებით. დღეს თუ ვინმემ ფული იშოვა, იმათგან ყველამ პარლამენტში დაივანა.

ძვირფასო მკითხველო, ჩემი წერილის ასეთმა ფახიფუხა დასაწყისმა შეიძლება, ერთგვარად გაგამხიარულათ კიდეც და გაფიქრებინათ, რომ საკუთარი თავის შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენისა ვარ, მაგრამ ნათქვამის გასამაგრებლად თუკი ხელთ უტყუარი საბუთი მიჭირავს? აი, თუნდაც „მედიატორის“ მიერ ამ დღეებში გახმაურებული სენსაციური ინფორმაცია, რომლითაც ვიგებთ, რომ „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში ჰყავს 36 მილიონერი დეპუტატი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ყოველი მესამე დეპუტატი დეკლარირებული მილიონერია(!).

გესმით, ხალხო, პარლამენტში 36 მილონერი დეპუტატი რამხელა სტიმულია იმ ქვეყნის მოსახლეობისთვის, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი ფიზიკური არსებობისათვის ბრძოლაში ათენ-აღამებს? ამას, ეტყობა, შესანიშნავად აცნობიერებენ თავად დეპუტატები, თორემ მათ რომ სპიკერისთვის დაეჯერებინათ, მთელი დრო სესიებზე ემთქნარებინ-ეყვინთათ და საკუთარი ბიზნესი ღვთის ანაბარა მიეტოვებინათ, ხომ წარმოგიდგენიათ, ქვეყანა რა გამოუვალ კოლაფსში აღმოჩნდებოდა?

ამ მიღწევით მილიონერმა დეპუტატებმა არა მარტო ქვეყანა იხსნეს სამარცხვინო წარუმატებლობისგან, ამასთან, ერთგვარად ნამუსზე შეაგდეს (არა მგონია, გამოუვიდეთ, მაგრამ მაინც სცადეს) ჩვენი ყიამყრალი ნაცბანდა, რომელიც „ოცნების“ ხელისუფლებას წარამარა ქვეყნის ბიზნესის მოშლასა და ეკონომიკის დაქცევაში ადანაშაულებს. ჰოდა, თუ არამზადა ნაცები, როგორც სხვა ყველაფერში, ამ საქმეშიც არ მამაძაღლობენ და არ თვალთმაქცობენ, გონიერი კაცი ხომ უნდა დაფიქრდეს, რანაირად ხდება, რომ ბიზნესის კეთებისთვის ამ მოშლილ-მოფურტკნულ პირობებში ჩვენმა ბიზნესმენმა დეპუტატებმა არაფრის კეთებით მილიონები დაითრიეს? თანაც ნიშნის მოგებით აუწყეს, ჩვენ რომ უქნარებსა და უსაქმურებს გვეძახით, ახლა ხომ გამოჩნდა, ჩვენ შორის ვინ საქმიანია და ვინ კიდევ უსაქმური მოლაყბეო.

ასეა ჩვენო შარახვეტია და ენაჭარტალა ნაცებო. ახლა ხომ მაინც დარწმუნდით, რომ ოცნებასთან ერთად თურმე საკუთარი ბიზნესის კეთება და ფულები ხვეტაც მშვენივრად ეხერხებათ. ამის დასტურია თავად დეპუტატების მიერ ოფიციალურად დეკლარირებული უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც მილიონობით ლარებში ასე გამოიყურება: შოთა შალელაშვილი (34.907.760), იოსებ მაკრახიძე (12.733.919), ბექა ოდიშარია (12.414.270), ლევან კობიაშვილი (9.829.530), კობა ნარჩემაშვილი (7.672.000) და სხვები და სხვები. მაპატიონ, ყველას ვერ ჩამოვთვლი, რადგან მეშინია, ვინმე არ გამომრჩეს და არ დამემდუროს.

რაც შეეხება იმას, თუ შემოსავლების რა წყაროებს ფლობენ მილიონერი დეპუტატები მონიტორინგ „მედიატორის“ განმარტებით, ამ დეპუტატების 90 პროცენტი დაკავებულია სამეწარმეო ბიზნესით. აქედან გამომდინარე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ რეალურად ისინი დეპუტატები კი არა მინიოლიგარქები არიან. ეს ადამიანები სინამდვილეში არანაირ კანონშემოქმედებას არ ეწევიან და პარლამენტში „პულტის დეპუტატებად“ იწოდებიან.

აი, ხომ ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, რითაც მე ავხსენი პარლამენტში დეპუტატების მოზღვავება, იმავეს იმეორებენ მონიტორინგ „მედიატორის“ პროფესიონალი სპეციალისტები. ოღონდ ერთი დამატებით, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ისინი, ვიდრე პარლამენტში დათბუნდებოდნენ, უპოვარნი და ღარიბ-ღატაკნი იყვნენ. არა, რა თქმა უნდა. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ერთ ჩემ ნაცნობ ბიზნესმენს, რომელმაც გურიაში არჩევნები წააგო, შინაურულად გავესაუბრე.

— კაცმა რომ თქვას, — ვუთხარი, — ფული შენ არ გაკლია და ცხოვრებისეული გამოცდილება. აბა, რა მოხდა, იმ შენმა კონკურენტმა რით გაჯობა?

— რითა და ფულით, ჩემო ძმაო, იმას ჩემზე მეტი მილიონები აღმოაჩნდა და არჩევნებიც მაგიტომ მოიგო.

— კი მაგრამ, თქვენი ვერაფერი გავიგე, ბანკში მილიონები თუ გიწყვიათ, იმ პარლამენტში რიღასთვის მიძვრებით?

— თავის აუტკიებლად და კომფორტულად უფრო მეტი მილიონების საპროცენტო ბიზნესით. აქედან გამომდინარე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ რეალურად ისინი დეპუტატები კი არა მინიოლიგარქები არიან. ეს ადამიანები სინამდვილეში არანაირ კანონშემოქმედებას არ ეწევიან და პარლამენტში „პულტის დეპუტატებად“ იწოდებიან.

აი, ხომ ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, რითაც მე ავხსენი პარლამენტში დეპუტატების მოზღვავება, იმავეს იმეორებენ მონიტორინგ „მედიატორის“ პროფესიონალი სპეციალისტები. ოღონდ ერთი დამატებით, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ისინი, ვიდრე პარლამენტში დათბუნდებოდნენ, უპოვარნი და ღარიბ-ღატაკნი იყვნენ. არა, რა თქმა უნდა. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ერთ ჩემ ნაცნობ ბიზნესმენს, რომელმაც გურიაში არჩევნები წააგო, შინაურულად გავესაუბრე.

— კაცმა რომ თქვას, — ვუთხარი, — ფული შენ არ გაკლია და ცხოვრებისეული გამოცდილება. აბა, რა მოხდა, იმ შენმა კონკურენტმა რით გაჯობა?

— რითა და ფულით, ჩემო ძმაო, იმას ჩემზე მეტი მილიონები აღმოაჩნდა და არჩევნებიც მაგიტომ მოიგო.

— კი მაგრამ, თქვენი ვერაფერი გავიგე, ბანკში მილიონები თუ გიწყვიათ, იმ პარლამენტში რიღასთვის მიძვრებით?

— თავის აუტკიებლად და კომფორტულად უფრო მეტი მილიონების საშოვნელად. შენც კარგად მოგეხსენება, იქ საამისოდ საუკეთესო სასათბურე პირობებია შექმნილი. რა ჯობს დეპუტატის იმუნიტეტს, ვერც ზემოდან შეგაწუხებს ვინმე ზედმეტად და ვერც ქვემოდან, ხანდახან ქუთაისს ესტუმრები, პარლამენტშიც შეივლი ამომრჩევლისთვის თავის მოსაჩვენებლად, დანარჩენ დროს დაჯდები და საკუთარ ბიზნესში იქექები, რომ არავინ დაგაყაჩაღოს, საკუთარი დაცვა გეყოლება და შენს მიერ შექმნილ ბიუროში რამდენიმე მუშაკიც მოგემსახურება, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტი საკმაოდ მსუყე ანაზღაურებას აძლევს.

ასეა, პატივცემულო მკითხველო, აღუვსებელია კაცის გული და სურვილი, ის ცოტას არასოდეს სჯერდება და სულ უფრო და უფრო მეტ სიმდიდრეს ეპოტინება. და აქვე ჩნდება ამ სიმდიდრის გონივრულად მოხმარება-ხარჯვის საკაცობრიო პრობლემა, რომელიც დიდ თავსატეხს უჩენს ყველა დროის უმდიდრეს ადამიანებს. ეტყობა, ამან უბიძგა გამოჩენილ ქართველ იუმორისტს, ბატონ თამაზ წივწივაძეს, რომელსაც, როგორც თვითონ აცხადებს, ქართული საზოგადოებისა და მაღალი სამეცნიერო წრეების სახელით „ქვეყნის მთავარ ჭკუისდამრიგებლობას“ სთავაზობენ, გაებედა და ქვეყნის ერთხელ უკვე გადამრჩენელ, 7 მილიარდის მქონებელ ბიძინა ივანიშვილისთვის „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან ფულის გონივრულად ხარჯვის მისეული სურვილი შეეთავაზებინა: 2 მილიარდი თავის განკარგულებაში დაიტოვოს, დანარჩენი 5 მილიარდი კი ქველმოქმედებას, ქვეყნის აღმშენებლობასა და ხალხის კეთილდღეობას მოახმაროს.

გაითვალისწინებს თუ არა გამოჩენილი ქართველი მილიარდერი გამოჩენილი ქართველი იუმორისტის სურვილს, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ თავად ამ იდეის კეთილშობილურმა მისიამ მაფიქრებინა, რომ პარლამენტარებს, რომლებსაც თავის დროზე ჩემი კალმით მილიონების კეთებაში დავეხმარე, არ აწყენდათ ამ მილიონების უდიდესი ნაწილის ქველმოქმედებაში დაბანდების ჩემეული სურვილიც ვაუწყო. თუ ამას ისინი ქვეყნის ინტერესების სურვილით არ გააკეთებენ, ვურჩევ, გააკეთონ საკუთარი შვილებისთვის მაინც, რათა იხსნან ისინი ზღვარგადასული სიმდიდრის ტვირთის ზიდვისაგან!..



ოთარ ხუციშვილი

ნაცების ინიციატივა სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის

„განათლება უნდა გახდეს პრიორიტეტული და სწავლისთვის მოტივირებული სტუდენტისთვის ფინანსები აღარ უნდა იყოს დაბრკოლება“ — განაცხადა „ენმ“-ს წევრმა მარიამ გერსამიამ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე. ნაციონალური მოძრაობა სტატუსშეჩერებული სტუდენტების თაობაზე ინიციატივით გამოდის და ხელისუფლებას მოუწოდებს, სტუდენტების სოციალური გრანტებით დაფინანსების ახალი მოდელი შემუშავდეს, ასევე, დაინერგოს დისტანციური სწავლება შეღავათიან ფასად, რათა ქვეყანას სოციალური პრობლემების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტები არ ჰყავდეს:

„დრო, დავიწყოთ პროცესი და ისეთი პირობები შევქმნათ, სადაც განათლება პრიორიტეტული იქნება და სწავლისთვის მოტივირებული სტუდენტისთვის ფინანსები დაბრკოლება აღარ იქნება. ამიტომ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, შემუშავდეს სტუდენტების სოციალური გრანტებით დაფინანსების ახალი მოდელი. საჭიროა მეტი დაფინანსებული სტუდენტი სოციალური საგრანტო პროგრამის ფარგლებში. უნდა წავახალისოთ თავად უნივერსიტეტებში სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების განვითარება. მათ შორის, დისტანციური სწავლება შეღავათიან ფასად, თანხის გადახდა სასწავლო კრედიტების და არა სემესტრების მიხედვით, საქველმოქმედო მიზნობრივი ფონდების შექმნა უნივერსიტეტებში, კამპუსების პროგრამა, სამუშაო ადგილების შეთავაზება თავად კამპუსებში, სტუდენტებისთვის მოქნილი გრაფიკი უნდა წავახალისოთ უმაღლესი სასწავლებლების და დამსაქმებლების თანამშრომლობა. საჭიროა ხელშეწყობა ანაზღაურებადი სტაჟირებისთვის, სტაჟირებაში სასწავლო კრედიტის მიღებისთვის და დასაქმების პერსპექტივისთვის“, — განაცხადა გერსამიამ.

სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს ადაპტირებული ტრანსპორტი გადაეცათ

თბილისის მერია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ადაპტირებული ტრანსპორტით უზრუნველყოფას აგრძელებს. „ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის“ პროგრამის ფარგლებში თბილისის მერიამ დამატებით ოთხი ახალი ადაპტირებული მიკროავტობუსი შეიძინა. დედაქალაქის მერიამ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, 11 საჯარო სკოლა შეარჩია, რომლებსაც აღნიშნული მიკროავტობუსები მოემსახურება. ადაპტირებული ტრანსპორტით თბილისში ამ ეტაპზე სულ 50 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სარგებლობს.

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დამოუკიდებელ და უსაფრთხო გადაადგილებასა და სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას.

გუშინ ადაპტირებული ტრანსპორტი მე-60 საჯარო სკოლას გადაეცა. მიკროავტობუსების გადაცემის პროცესს სკოლაში თბილისის მერი დავით ნარმანია, მისი მოადგილე ნინა ხატისკაცი და მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა დაესწრნენ. თბილისის მერის თქმით, სკოლებს 4 ახალი ადაპტირებული მიკროავტობუსი გადაეცათ და დედაქალაქის მერია დამატებით კიდევ 2 მიკროავტობუსის შეძენას გეგმავს. დავით ნარმანიას თქმით, მიკროავტობუსების ტრანსპორტირებისა და ექსპლუატაციის ხარჯებს თბილისის მერია სრულად უზრუნველყოფს.

არაბულ შეგონებად: ახლის ახალი აღთქმა

ჩაამთავრებ „მონობას“ და მის ღრმააზროვან ფინალში თვალნათლივ ხედავ, როგორ უწვდის ხელს ჯიბრან ხალილ ჯიბრანი კონსტანტინე გამსახურდიასა და ერეკლე ტატიშვილს.



— სად არიან შენი ვაჟები? — ამ შეკითხვით უნდა მიმართოს ჯიბრან ხალილ ჯიბრანმა თავისუფლებას და დანამდვილებით შეიტყოს, რომ:

ერთი ჯვარცმული მომკვდარა.

მეორე — შეშლილა.

მესამე კი ჯერ არ დაბადებულიყო.

თუმც მინიშნებით მიანიშნებდა, რომ ის მესამე ვაჟიც უსათუოდ უნდა მოვლენოდა სამზეოს, როგორც გარდუვალი დაგვირგვინება ტრიადისა.

ის ორი მინიშნებაც საკმაოდ გამჭირვალეა და დიდი რამ ამოცნობა არა სჭირდებათ იესო ქრისტესა და ფრიდრიხ ნიცშეს, რომელთაც ჯიბრანი საპირისპირო პოლუსებზე კი არა რაცხდა, როგორც ძალიან და ძალიან ბევრის თვალში გამოიყურებოდნენ, არამედ გენეტიკურ სიახლოვესაც კი აღმოაჩენდა მათ შორის, და ნიცშეს უშუალო მემკვიდრედ აღიარებდა იესოსი — რაღა ის პირველი მოციქულები, ქრისტეს მოწაფენი, და რაღა ეს, მოციქული ახალი ჟამისა, რომელსაც, უკიდურესი დაცემის მიუხედავად, კვლავ ქრისტეში უნდა ეპოვა განახლების სათავე.

და განმახლებელი ის „მესამე ვაჟი“ იქნებოდა, ჯერ რომ არ დაბადებულიყო, მაგრამ ნაწინასწარმეტყველები კი გახლდათ მისი მოვლინება.

თავისუფლების ვაჟების გვერდი-გვერდ მოხსენიებაში არსებითად ჩაწურულია ჯიბრანის რომანის „იესო — ძე კაცისა“ სულისკვეთება, მისი ის მხატვრულ-იდეური მრწამსი, ლიბანელი მწერალი ახალი აღთქმისა და „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ მორიგებას რომ ლამობდა, როგორც ერთიმეორის უშუალო გაგრძელებისა.

ამას სხვანიც შეამჩნევდნენ და ზარატუსტრას დრამატულ თავგადასავალს სულაც მეხუთე სახარებად მოიხსენიებდნენ?

დაე ჯიბრანს რომანის აღნაგობითა და სულისკვეთებითაც დაედასტურებინა ეს შეხედულება.

ერთი ჯვარცმული მოკვდა, მეორე — შეშლილიო.

ეს ის სულიერი სიახლოვე თუ ნათესაობაა, კონსტანტინე გამსახურდიას ამ მეტაფორულ განსაზღვრებასა და თიკუნს რომ აპოვნინებდა ნიცშესათვის: ჯვარცმული დიონისე.

ხოლო იმ „მესამის“ გარდუვალი მოვლინება ის წინასწარგრძნობა გახლდათ ჯიბრანისათვის, რაც ერეკლე ტატიშვილს ასეთ ფილოსოფიურ-რელიგიურ ფორმულაში უნდა ჩაეწნეხა: მამაღმერთი რომ დაბერდა, იესო ქრისტეში განახლდა, და ახლა იესოც რომ დაბერდა, მოსალოდნელია მისი განახლებაცო.

და თავის მოწაფეებს ურჩევდა, რომ ამ მოსაზრებას ციტატად ტყუილუბრალოდ დაუწყებდნენ ძებნას ნიცშესთან, რადგანაც ეს დასკვნა უფრო იყო, „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ სულისკვეთებით ნაკარნახევი.

გასაკვირი არ არის, ჯიბრან ხალილ ჯიბრანი მონობის ფენომენის გააზრებას სწორედ ამ პასაჟით რომ დააგვირგვინებდა, თავისუფლების ვაჟების ადგილსამყოფელზე მინიშნებითა და მესამე ვაჟის გამოჩენის აღთქმით, ვიდრე ღრუბლებს მიღმა მიიკარგებოდა მათი მშობელი; და აუცილებლად მიიჩნევდა, რომ თავისუფლების გადაელვებაზე დაკვირვება მონობის ანალიტიკურ განსჯაზე ამოეშენებინა, მისი ეს ესეი „მონობა“ — იზოლდა გრძელიძის მიერ ამეტყველებული ქართულად — სწორედაც თავისუფლების საგალობლად რომ წარმოგვიდგება, თორემ ისე რატომ გაირჯებოდა ლიბანელი მწერალი ჩაკირკიტებული შესწავლით იმ მოვლენისა, რომელსაც გვირჩევნია მზერა ავარიდოთ, რაკიღა არცთუ საამოა ასაღიარებლად, რომ:

ხალხი ცხოვრების მონაა, ცხოვრება კი — მონობა, რომელიც მათ დღეებს ლაფსა და ჭუჭყში სვრის, ღამეებს ცრემლსა და სისხლში ალტობს.

აი, შვიდი ათას წელს გაევლო ჯიბრანის — როგორც ისტორიის თანამდევი სულის — პირველი დაბადებიდან და... სხვა არა ენახა რა, გარდა ფარხმალდაყრილი და ბორკილდადებული მონებისა.

იმის მომსწრე გამხდარიყო, თუ როგორ გაევლოთ ერებსა და ხალხებს გზა გამოქვაბულიდან სასახლეებამდე, და... მხოლოდ უღელდადგმული კისრები, ბორკილდადებული ხელები და კერპთა წინაშე მოდრეკილი მუხლები ეხილა.

ბაბილონიდან პარიზამდე, ნინევიიდან ნიუ იორკამდე გაჰყოლოდა ადამიანს და... სილაზე აღბეჭდილი ბორკილების ნაკვალევის გვერდით მისი ნატერფალიც ენახა; და მოესმინა, როგორ გამოსცემდნენ ხევები და ტყეები თაობებისა და საუკუნეთა მოთქმის ექოს.

ენახა ბავშვები, რომელთაც დედის ძუძუსთან ერთად მონობა ეწოვათ; ბიჭები, რომელთაც ანბანთან ერთად დამჯერობა ესწავლათ; გოგონები, რომელთაც სამოსისათვის სარჩულად თვინიერება და დამცირება გამოეკერათ; ქალები, რომელნიც მორჩილებისა და ვალის მოხდის სარეცელზე იწვნენ.

დაჰყვებოდა თაობებს განგიდან ევფრატის ნაპირებამდე, ნილოსის შესართავამდე, სინას მთაზე, ათენის მოედნამდე, რომის ტაძრებში, კონსტანტინოპოლის შუკებში, ლონდონის კვარტლებში და... იხილავდა, რომ ყველგან — მსხვერპლშეწირვის პროცესიაში — მონობა დაიარებოდა და მას ღმერთს უწოდებდნენ.

მის ფერხთით ღვინოსა და სურნელს აპკურებდნენ და... მეფედ უხმობდნენ.

ქანდაკებების წინ გუნდრუკს აკმევდნენ და... წინასწარმეტყველს უწოდებდნენ.

მუხლმოდრეკით ეთაყვანებოდნენ და... ამას რჯულის კანონს არქმევდნენ.

მისი გულისათვის ეომებოდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს და... ამას პატრიოტიზმად ნათლავდნენ.

მის ნებას დაჰყვებოდნენ და... ამას დედამიწაზე ღვთის აჩრდილს უწოდებდნენ.

მისი სურვილით საკუთარ სახლებს წვავდნენ, საკუთარ ნაგებობებს ანგრევდნენ და... ამას ძმობასა და თანასწორობას არქმევდნენ.

მთელი ძალ-ღონით იბრძოდნენ მისთვის და... ამას ქონებასა და ვაჭრობას ეძახდნენ.

მონობას ბევრი სახელი ჰქონდა, ჭეშმარიტება კი — ერთი.

უამრავი ფორმა ჰქონდა, შინაარსი კი — ერთი.

მაგრამ მონობა მუდმივი და მარადიული ავადმყოფობა გახლდათ ნაირგვარი გამოვლინებითა და ნაირფერი იარებით, რომელთაც შვილები სუნთქვასავით ღებულობდნენ მამებისაგან მემკვიდრეობით.

ყველაზე საოცარს, რასაც მონობის სახეობებსა და ფორმებს შორის შეხვედროდა, ბრმა მონობად მოიხსენიებდა. ეს ის იყო, ხალხის აწმყოს მათი მამების წარსულთან რომ აკავშირებდა, მათ წინაპართა ტრადიციების წინაშე აჩოქებდა, მათ ახალგაზრდა სხეულებს დროოჭმული სულისკვეთებით აღავსებდა და ნაცარტუტადქცეული ძვლების კირით შეთეთრებულ საფლავებად აქცევდა.

მუნჯი მონობა მამაკაცის ცხოვრებას საძულველი ცოლის კალთას გამოაბამდა, ქალს საძულველი ქმრის სარეცელს გააკრავდა და ორივეს კი ფეხქვეშ თელავდა.

ყრუ მონობა ადამიანს აიძულებდა, ირგვლივმყოფთა გემოვნებას დაჰყოლოდა, მათი ელფერი შეეძინა, მათი სამოსით შემოსილიყო. შესაბამისად — მათი ხმა ექოს ემსგავსებოდა, სხეული — აჩრდილებს.

კოჭლის მონობა ძლიერებს მზაკვართა გავლენის ქვეშ ახრევინებდა ქედს; მათ ნებას დიდებისა და სახელის შოვნის ჟინით შეპყრობილთა ახირებებს უმორჩილებდა და ისინიც, მანქანებისა არ იყოს, თითის შეხებით მოძრაობდნენ, ჩერდებოდნენ და იმსხვრეოდნენ.

ჭაღარა მონობა ბავშვების სულებს გაშლილი სივრციდან სიდუხჭირეში აგდებდა; სადაც გაჭირვება უმეცრების, დამცირება სასოწარკვეთის გვერდით ბინადრობდა; სადაც ისინი უიღბლოებად იზრდებოდნენ, დამნაშავეთა ცხოვრებით ცხოვრობდნენ და უზნეოთა სიკვდილით კვდებოდნენ.

თაღლითი მონობა ნივთებს მათი ღირებულების მიხედვით არ ყიდულობდა; მოვლენებს თავის სახელებს არ არქმევდა; გაიძვერობას საზრიანობას ეძახდა, ლაყბობას — ცოდნას, სისუსტეს — უწყინარობას, ლაჩრობას — სიამაყეს.

წელში მოხრილი მონობა, შიშის წყალობით, სუსტ ადამიანებს ენას ამოადგმევინებდა და იმას ალაპარაკებდა, რასაც არ გრძნობდნენ; თვალთმაქცურად იმას ჩაადენინებდა, რაც არ განეზრახათ და, ჩვრებად ქცეულებს, სიღატაკე ფეხქვეშ გაიგდებდათ.

კუზიანი მონობა ერთ ხალხს მეორე ხალხის კანონებით მართადვა.

ქეციანი მონობა მხოლოდ მეფეთა შვილებს ადგამდა გვირგვინს.

შავი მონობა დამნაშავეთა უდანაშაულო შვილებს შანთავდა.

მონობა მონობისათვის ინერციის ძალა გახლდათ.

და როდესაც თაობათა დევნით დაიღლებოდა ეს ისტორიის თანამდევი სული, მოწყინდებოდა ხალხთა და ერების სვლათა ყურება, კიდეც განმარტოვდებოდა აჩრდილთა ხევში, სადაც გარდასულ დროთა ლანდები თავს აფარებდნენ, მომავლისა კი — თავიანთ ჯერს ელოდნენ.

მაშინაა, გამხდარი აჩრდილი რომ უნდა შენიშნოს, განმარტოებით მომავალი და მზის მაცქერალი, თავისუფლება რომ უნდა აღმოჩნდეს, და ამან კი ჰკითხოს: სად არიან შენი ვაჟები?..

მონობის კლასიფიკაცია თავისთავად საგულისხმოცაა და დამაფიქრელიც, და ერთადერთი, რაც ამოვარდნილია ჩამოთვალიდან და აქ რაღაც გაუგებრობით მოხვედრილი, ბრმა მონობის განმარტებაა, უფრო სწორად, დაზუსტება ესაჭიროება, რათა მიამიტი ყმაწვილკაცნი არ აცთუნოს და არ აფიქრებინოს, გაუმართლებელია მამების წარსულთან კავშირიო. გაუმართლებელი ეს კი არ არის, არამედ ის შეგრძნება, აკლდამების იქით გადახედვა რომ არა გსურს და, გარდასული ჟამის ლაბირინთებში ერთიანად შთანთქმული, ამჟამინდელი ცხოვრებით აღარ ცხოვრობ და აღარც მომავლის საფუძველს ამზადებ.

ცხადია, ეს უკვე სულ სხვა რამ არის — სწორედაც მამების წარსულთან დამაკავშირებელი და ტრადიციის ძალმოსილებისა და მაცოცხლებელი სუნთქვის მაღიარებელი.

ჩვენთვის მაინც რაოდენ ღირებულია ჯიბრანის ესეი, მონობის ყოველგვარი ნიშანთვისების ამოზიდვა მზის სინათლეზე და მისი რაობის გადმოფარჩავება, რადგანაც ჯერაც ვერ გამოვცილებივართ მონობის ორსაუკუნოვან ხანას და... პოსტსაბჭოთა ეპოქაში ვაწყდებით აქეთ-იქით თუ კვლავაც საბჭოთა ეპოქის მარწუხებში მოვყოლივართ, დაბეჯითებით ველარც გაგვირკვევია!..

ამ 25-წლოვან დრამაში ის წამიერი გადაელვება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით გასხივოსნებული, აბა რას გვიშველის?!

თუმც... რატომაც არ გვიშველის — მხნეობით ხომ გვავსებს და იმ ეროვნული თავმოყვარეობით, ოიკოფობებს საცილად რომ აუღიათ და ქუდიც ჭერისათვის უკრავთ: ეგაა და ჩვენსას მივაღწიეთ, ჩავუკალით ხალხს ეროვნული გრძნობები და მისწრაფებანიო.

ერთი სოციალისტურმა გლობალიზმმა ჩაგვიკლა და მეორე — ლიბერალური გლობალიზმი ჩაგვიკლავს.

მოახლოებულია ახალი ჟამი.

თავის ჯერს ელოდება მესია.

მამაღმერთი იესოში რომ განახლდა, იესოსაც მოუწევს განახლება და... მოაწევს ახლის ახალი აღთქმა — გზის გამკვალავად და წინასწარმეტყველების ხელშესახებ დასტურად.

* * *

ჩაამთავრებ „მონობას“ და მის ღრმააზროვან ფინალში თვალნათლივ ხედავ, როგორ უწვდის ხელს ჯიბრან ხალილ ჯიბრანი კონსტანტინე გამსახურდიასა და ერეკლე ტატიშვილს.

და მიდის, მიემართება გამხდარი აჩრდილი თავისუფლებისა — განმარტოებული და მზის შემყურე, იმ მზისა, შუაღამისასაც რომ ბდღვრიალებს და ვარვარებს, კაშკაშებს და ელვარებს, ასხივებს და ბრწყინავს ჯვარცმისა და ჯვარცმულის ირგვლივ შემოგარსული...

როსტომ ჩხეიძე



გვყავს ვინ, გვყავს ვინ სხვა, უმეტეს ღირსეული?!

ტელეკომპანია: „იბერია“;
გადაცემა: „ პრიორიტეტი“;
წამყვანი: მაკა რაზმაძე;
მონაწილენი : ერთ მხარეს — მოქანდაკე ვახტანგ დავითაია და მხატვარი თემო გოცაძე; მეორე მხარეს — ჟურნალისტი ეკა ჯანაშია და არასამთავრობოს წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი;
თემა: დავით აღმაშენებლის ძეგლი (შეიძლებოდა, ასეც დაგვერქმია: „ ქანდაკების ბედი“);
ფორმატი: ერთი მხარე იცავს გარკვეულ პოზიციას, მეორე — ეწინააღმდეგება.

თემა ნაცნობია.

ძეგლი იდგა რესპუბლიკის მოედანზე, რომელსაც მიხეილ სააკაშვილმა „ვარდებისა“ დაარქვა და დღევანდელი ხელისუფლებაც კი კვლავ ამ სახელით მოიხსენიებს(?!)...

ქანდაკება „ივერიის“ წინ დადგეს.

დღეს აღარც „ივერიაა“ და აღარც ქანდაკება!

„ივერიის“ ნაცვლად, „რედისონია“, დავით აღმაშენებლის ნაცვლად — ველოსიპედი (ბოროტი ენები ამბობენ, კამოსიაო!).

ბედკრული ივერიის თანამედროვე პორტრეტი!

* * *

ძეგლი სააკაშვილმა მოქანდაკესთან შეუთანხმებლად დიღომში გადაიტანა.

„მეფე იყო და იტყოდა, იქმოდა, რასაც ინებდა“...

კიდევ კარგი, რომ პოეზიას არ იცნობდა, თორემ უფრო შორსაც წაიღებდა და მურმან ლებანიძეს დააბრალებდა:

მე თუ მკითხეს,
შენ თუ გკითხეს, ჩვენ თუ გვკითხეს,
გვყავს ვინ, გვყავს ვინ სხვა, უმეტეს
ღირსეული!
აქ პონტისპირ, აქ გრანიტში უნდა იდგეს,
აზიიდან ევროპისკენ მიქცეული...

თავის დროზე ასევე, შემეშინდა, მუხრან მაჭავარიანის პოეტური ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით არ გაეგოთ და პოეტის ნეშტი მართლა შამქორში არ დაეკრძალათ („ რა ბედენაა მთაწმინდის და დიდუბის მიწა, თუ სიკვდილია, აი, წოლა მითხარ შამქორში“)...

მოკლედ, არავის ჰკითხეს და აღმაშენებლის ძეგლი ისე გადაიტანეს.

საქართველო მისი ნახვით იწყებოდეს,
იწყებოდეს საქართველო სწორედ
მისით!

ამასაც მურმან ლებანიძე ნატრობდა.

დღეს კი არათუ საქართველო, თბილისიც კი არ იწყება მისით.

ასე რომ ვიფიქროთ, მაშინ თბილისს ერთი ვეება დასახლება უნდა ჩამოვაშოროთ.

ესეც არ იყოს, ძალიან უხერხულად დგას თავის ქალაქთან „ძლევაი საკვირველის“ შემოქმედი.

ბატონი ვახტანგ დავითაია გადაცემაში ამას ისე მძაფრად იტყვის, რომ გაგიკვირდება კიდეც ამ თითქმის პურიტანელი პიროვნებისგან.

მაგრამ უკვე ძალიან გაბრაზებულია ბატონი ვახტანგი — ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ხუთი წელი გასულა და ეს საკითხი ჯერაც ვერ გადაწყვეტილა. ცამეტჯერ შეხვედრია თბილისის მერს, ცამეტჯერვე მიუღია დაპირება, ორშაბათიდან მივხედავთო, მაგრამ ორშაბათი ხომ არ გამოილევა?!

და მაინც, ბატონი დავითის გაბრაზება რა მოსატანია თემო გოცაძის აღშფოთებასთან?! მისი ემოციური ბუნება ხომ საყოველთაოდ ცნობილია. მისთვის ერთნაირად მიუღებელია არასამთავრობოთა ლიბერალური აზროვნება და ჟურნალისტთა (ზოგიერთთა) დილეტანტიზმი.

თუმცა, ესეც უნდა ითქვას: იმ საღამოს ჟურნალისტიც და ენჯეოელიც თავაზიანობითა და მოკრძალებით გამოირჩეოდნენ, რისი მაგალითებიც დღეს

უკიდურესად გაიშვიათდა.

აქ უკვე აღარ დასმულა მკრეხელური კითხვა: ყველა ძეგლი აუცილებლად რუსთაველზე უნდა იდგეს?!

დავით აღმაშენებელი, თურმე, „ყველაში“ გასარევი ყოფილა?!

* * *

სხვათა შორის, მერაბ ბერძენიშვილის ძეგლებზე „ცხვირის აბზუება“ დღეს ერთგვარ მოდად და საელიტო ტონად იქცა.

რაგინდ გასაკვირიც იყოს, ამ მოდას ისეთებიც აჰყვნენ, გამოჩენილ მოქანდაკეს წინათ დითირამბებს რომ უძღვნიდნენ.

უთუოდ მათ შეახსენა ბატონმა თემო გოცაძემ, რომ მერაბ ბერძენიშვილი მეოცე საუკუნის უდიდესი მოქანდაკეა.

მოდა გაივლის, მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედება კი დარჩება.

ამიტომ ძეგლი უნდა იდგეს იქ, სადაც დიდ მოქანდაკეს სურდა! — ასეთია თემო გოცაძის ლოგიკაც, არგუმენტიც და კატეგორიული მოთხოვნაც.

ეს გადაცემა ნამდვილად არ ჰგავდა ამავე თემაზე ორიოდე კვირის წინათ გამართულ დებატებს, როცა უვიცობისა და უტიფრობის მოგერიება ვერაფრით მოახერხეს ახალგაზრდობაში შესრულებული ერთი როლით სამუდამოდ სახელგანთქმულმა მსახიობმა და „ვარსკვლავების ცეხის“ გაურკვეველი პროფესიის უფროსმა.

ვახტანგ დავითაიასა და თემო გოცაძის დიდმა ავტორიტეტმა ბუნებრივად შექმნა განსხვავებული ვითარება, სადაც გამოიკვეთა მერაბ ბერძენიშვილის ღვაწლიც და ქანდაკების თავის ადგილზე დაბრუნების აუცილებლობაც.

ოღონდ, „თავისი ადგილი“ საკმაოდ უნდა შეიცვალოს.

ბატონი ვახტანგის აზრით, ის ადგილი მოქანდაკესაც არ მოსწონდა, მაგრამ რესპუბლიკის მოედნის იმჟამინდელი განაშენიანება სხვა შესაძლებლობას გამორიცხავდა. დღეს კი არქიტექტორს გამზადებული აქვს კვარცხლბეკისა და ძეგლის „შემოგარენის“ ახალი პროექტი, რომლითაც ქანდაკება მოედნის ჩრდილო - აღმოსავლეთ სივრცეში ორგანულად ჩაეწერება.

საკრებულოში კარგა ხანია, დაგეგმილია ამ პროექტის წარდგინება.

მაგრამ რომელ ორშაბათს, ჯერ გაურკვეველია.

* * *

თვალს შევავლებ — დანახვაზე
მისი შემოქმედი მიყვარს...
არაერთხელ განაკაცებ,
მერაბ, გაგვიცოცხლებ თიხას! —

მიმართავდა მურმან ლებანიძე.

საუბედუროდ, ვეღარ გაგვიცოცხლებს.

რაც გაგვიცოცხლა, როგორ მოვეპყარით?

სააკაშვილმა ერთი აუფეთქა, მეორეს, დაუკითხავავად, ადგილი მოუნაცვლა.

იმედი ჰქონდა, ახალი ხელისუფლება ძეგლს აუცილებლად თავის ადგილზე დააბრუნებდა.

ითხოვდა. ბრაზობდა. წუხდა.

ცნობილია, როგორ უყვარდა მერაბ ბერძენიშვილს თავისი ქანდაკებები, როგორ ეფერებოდა, ესაუბრებოდა...

რამდენი უშრომია მათს გასაცოცხლებლად, რამდენი უფიქრია თითოეულ დეტალზე. ბატონი ვახტანგისთვის უამბნია, როგორ აწვალა ერთ-ერთი მეფის ხელმა — ოდნავ მაღლა ასწევდა, დიქტატორი გამოდიოდა, ოდნავ თუ ჩამოსწევდა — სუსტი მონარქი...

და ასეთი ხელოვანი გულნატკენი განეშორა თავის სათაყვანებელ სამშობლოს — აღმაშენებლის დაბრუნებას ვერ ეღირსა.

* * *

სააკაშვილისგან არ გვიკვირს.

ამ ხელისუფლებისგან კი ნამდვილად გასაკვირია.

თუმცა, სიმბოლურიც — სამართლიანობის აღდგენა თვით დავით აღმაშენებელსაც არ შეხებია.

ველოსიპედი კი დგას.

ნუთუ ესეც სიმბოლურია?!

იოსებ ჟუმბურიძე

P.S. **ბარემ ეს წინადადებაც აქვე დავსვათ: მას შემდეგ, რაც ქანდაკება თავის ადგილს დაუბრუნდება, ეწოდოს მოედანს დავით აღმაშენებლის სახელი. ამით მაინც განელდეს გულისტკივილი, რასაც ამ ადგილიდან „ივერიის“ გაქრობა იწვევს. აქვე, მადლობა უნდა ვუთხრათ ტელეკომპანია „იბერიას“, რომელმაც დავით აღმაშენებლის ძეგლის პრობლემას, ანუ ქანდაკების ბედს არაერთი გადაცემა თუ სიუჟეტი უძღვნა...**

„შერიგების ფესტივალი“

ტარიელ მაისურაძე გუდაუთელი, აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანია. საეტსტრადო და სამსახიობო მოღვაწეობა ტარიელმა აფხაზეთში დაიწყო, ხოლო შემდეგ ბელორუსიაში მოუწია გაგრძელება. უცხო მიწაზე მან მალევე მოიპოვა ადგილობრივი მსმენელის სიყვარული და დღეს იგი ამ ქვეყნის საპატიო მოქალაქე, დამსახურებული არტისტი და საზოგადო მოღვაწეა.

მიუხედავად მძიმე პერიოდისა და მრავალი სირთულისა, მომღერალმა შეძლო ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა აღმოსავლეთ ევროპაში, როგორც ქართველ ხელოვანს.

ახლახან ტარიელი საქართველოში დაბრუნდა თავისი გრანდიოზული პროექტით, რომლის მიზანიც აფხაზ და ქართველ მომღერლებთან ერთად „შერიგების ფესტივალის“ გამართვაა.

„ჩემი პროექტი, რომელზეც დიდი ხანია, ვფიქრობდი, მინდა, გარკვეული ხიდი იყოს არამხოლოდ აფხაზებსა და ქართველებს, არამედ სხვა ერებს შორისაც. კონცერტს რუსი ხელოვანებიც შემოუერთდებიან, რადგან მჯერა, მხოლოდ სიყვარული, სიკეთე და ხელოვნება გაამთელებს იმ ხიდს, რომელიც ჩვენს მშობლიურ აფხაზებს ჩვენამდე მოიყვანს. ჩემი ძმა, რომელიც აფხაზეთთან ომის დროს დაიღუპა და ერთგული გმირია, სიხარულით შეხვდებოდა ჩემს პროექტს, რადგან დრია, ომი და ძალადობა ერთმანეთის სიყვარულმა ჩაანაცვლოს და დაახლოოს ჩვენი ხალხი“, — განაცხადა ტარიელ მაისურაძემ.

ტარიელ მაისურაძემ თბილისში დაბრუნება და პროექტზე მუშაობა, სწორედ მასშტაბური პროექტის გამო გადაწყვიტა და იმედოვნებს, რომ მის ინიციატივას მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდება როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან.

ტარიელ მაისურაძის სიმღერები გამოქვეყნებულია ათამდე მუსიკალურ ალბომში; იგი მონაწილეობდა 20-მდე მხატვრულ ფილმში; გახლავთ არაერთი სატელევიზიო პროექტისა და სატელევიზიო გადაცემის ავტორი და წამყვანი; ასევე სხვადასხვა რადიოპროექტის ავტორი; ტარიელი პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. იგი ქ.მინსკის თანამედროვე მცოდნეობის ინსტიტუტის, საესტრადო განყოფილების ლექტორია; ტარიელი ასევე, გახლავთ ქართველი ემიგრანტების ჯგუფ „გორდას“ ხელმძღვანელი.

ᲫᲕᲔᲚᲘᲡᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ „ᲡᲝᲛᲮᲣᲠ ტᲠᲐᲜᲖᲘᲢᲖᲔ“

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲙᲐᲠᲔᲜ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲠᲐᲖᲐᲛ, ᲠᲝᲛ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ „ᲚᲐᲠᲡᲘᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐᲖᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲜ“ ᲓᲐ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ „ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ“.

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲡ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ ᲐᲦᲘᲥᲕᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ, ᲐᲜ ᲒᲝᲠᲘ-ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ-ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘᲡ „ᲓᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲐ“.

ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲙᲐᲠᲔᲜ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲘ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘᲐ. ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲐᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲣᲛᲐᲠᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲚᲐᲪ „ᲤᲝᲗᲝᲗ-ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘᲡ“ ᲡᲐᲑᲝᲠᲜᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲡ ᲯᲔᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐ�პᲝᲠᲢᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲢᲕᲘᲠᲗᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ Უ�პᲠᲝᲑᲚᲔᲛᲝᲓ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲢᲕᲘᲠᲗᲑᲠᲣᲜᲕᲐᲖᲔ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ �მᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐᲖᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲖᲐ“ ᲖᲐᲛᲗᲐᲠ-ᲖᲐᲤᲮᲣᲚ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲙᲔᲢᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲖᲕᲐᲕᲘᲡ, ᲐᲜ ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝ. ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲓᲐᲜ-ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲦᲠᲛᲐᲕᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲘᲓᲬᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐᲛ ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲠᲝᲠᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲣᲡᲐᲫᲚᲘᲡᲘ ᲒᲐᲮᲐᲓᲐ.

ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ: ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲤᲣᲭᲐᲓ ᲩᲐᲘᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ „ᲡᲐᲪᲠᲘᲗ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ“ ᲓᲐᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲚᲘᲛᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲖᲐᲛ“ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲐᲛᲝᲬᲣᲠᲐ! ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲢᲕᲘᲠᲗᲝ-ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲕᲐᲓᲘᲐᲜ �პᲔᲠᲡ�პᲔᲥᲢᲘᲕᲐᲨᲘ ᲙᲘ, ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲣᲕᲐᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲗᲐᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ. ᲘᲪᲘᲐᲜ ᲡᲝᲛᲔᲗᲰᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲔᲜ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲗᲣ ᲡᲮᲕᲐ „ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ“ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ.

* * *

ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲙᲐᲠᲔᲜᲘ ᲔᲨᲛᲐᲙᲝᲑᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ „ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲑᲝᲠᲜᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲡ ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲘᲝ“. ᲓᲐᲕᲮᲔᲓᲝᲗ ᲠᲣᲙᲐᲡ: ᲡᲐᲓ ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ — ᲤᲝᲗᲝᲐᲛᲓᲔ, ᲛᲔᲠᲔ ᲑᲝᲠᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲐ, ᲖᲚᲕᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲐᲛᲓᲔ, ᲑᲝᲠᲜᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲔᲕ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲛᲝᲗᲕᲘᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲢᲐᲜᲐ (ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ) ᲓᲐ ᲡᲐᲓ — ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲘᲓᲬᲝᲜᲘᲐᲜᲘ „ᲢᲠᲐᲘᲚᲔᲠᲔᲑᲘᲗ“ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲔ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ?!

ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲐᲛᲓᲔ ᲐᲜ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲣᲠᲐᲚᲐᲛᲓᲔ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲘᲝᲚᲘ, ᲘᲐᲤᲘ, ᲛᲝᲙᲚᲔ ᲒᲖᲐᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘᲓᲐᲜ. ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲘᲐ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ „ᲒᲐᲓᲐᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ“ ᲔᲡ ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘ ᲤᲝᲗᲝᲘ-ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲖᲔ (ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐᲗ, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ) ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ „ᲔᲭᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ“ ᲯᲘᲣᲢᲐᲓ ᲘᲡᲔᲕ ᲘᲛ ᲛᲝᲤᲐᲛᲤᲐᲚᲔᲑᲣᲚ, ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲣᲚ, ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ ᲡᲐᲨᲘᲨ „ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲖᲐᲡ“.

ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲔᲜᲔᲠ�გᲝᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲡ (ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲡᲬᲠᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ, ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙ-ᲤᲝᲗᲝᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘ), ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ, ᲐᲜᲣ ᲛᲐᲚᲐᲤᲣᲭᲔᲑᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲝ — ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ „ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲣᲚᲘ“ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ. ᲝᲦᲝᲜᲓ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲤᲝᲗᲝᲨᲘ ᲑᲝᲠᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲐ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ.

ᲡᲮᲕᲐᲒᲒᲐᲠᲐᲓ ᲗᲣ ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲠᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲐ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲐᲖᲔᲑᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲛᲐᲗ, ᲐᲠᲐᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲰᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ „ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ ᲛᲙᲕᲔᲗᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲔᲑᲡ.

შეგახსენებთ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტს, რაც რატომღაც მივიწყებულია: 2006-2013 წლებში, ანუ მთელი შვიდი წლის განმავლობაში, ლარსის გადასასვლელი საერთოდ ჩაკეტილი იყო (მოსკოვის მხრიდან შემოღებული ანტიქართული სანქციების გამო), მაგრამ სომხეთი ამით არ დაღუპულა. შესაბამისად, დღეს ერევანი არა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის არჩევანის, არამედ „უკეთესის“ ძიებაშია. ეს არის და ეს. მაგრამ თუ მოხერხდება „ალტერნატივების“ ამოქმედება, უარს რატომ იტყვიან? მით უმეტეს, თუკი ამ „ალტერნატივებში“ აფხაზეთის რკინიგზა და „გორი-ცხინვალი-ვლადიკავკაზის“ საავტომობილო მარშრუტი იგულისხმება.

ᲘᲛᲐᲕᲔ ᲑᲝᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲡ, ᲮᲝᲚᲛᲪᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘᲗ — ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ, ᲐᲜᲣ ᲐᲥᲐᲪ „ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲡ“ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ: ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘ ᲤᲝᲠᲛᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲙᲘ „ᲣᲮᲕᲔᲕᲓᲐ“ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲐᲫᲝᲨᲘ ᲒᲐᲘᲒᲔᲡ, ᲛᲘᲰᲒᲓᲜᲔᲜ, ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲜᲝᲚᲐᲘᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲔᲡ, ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ (ᲗᲣᲛᲪᲐ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ) „ᲒᲐᲙᲘᲪᲮᲔᲡ“ ᲓᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲘᲘᲫᲕᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘᲪ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ.

* * *

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲤᲐᲥᲢᲡ, ᲠᲐᲪ ᲠᲐᲢᲝᲛᲦᲐᲪ ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ: 2006-2013 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲐᲜᲣ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲚᲐᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲢᲘᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ), ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲓᲦᲔᲡ ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚ-ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ „ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ“ ᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ �თᲣ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ „ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲣᲐᲠᲡ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ? ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲗᲣᲙᲘ ᲐᲛ „ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ“ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐ ᲓᲐ „ᲒᲝᲠᲘ-ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ-ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘ Ი�გᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲐ ᲨᲔᲛᲘᲦᲝᲡ. ᲐᲘ ᲞᲠᲝᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲨᲐᲜᲢᲐᲯᲔᲑᲡ ᲔᲛᲑᲐᲠᲒᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔᲯ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, ᲞᲣᲢᲘᲜᲡ ᲐᲛᲐᲨᲘ WTO ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲨᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲡ, ᲡᲘᲑᲠᲘᲧᲕᲔᲛᲓᲔ �გᲣᲚᲣᲑᲠᲧᲕᲘᲚᲝᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲡᲬᲠᲔᲓ ᲐᲯ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲫᲘᲝᲗ ᲒᲐᲣᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ „ᲟᲦᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ“ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ „ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐᲖᲔᲪ“ ᲓᲐ „ᲝᲡᲣᲠ ᲢᲠᲐᲜᲖᲘᲢᲖᲔᲪ“. ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲕᲐᲚᲕᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ „ᲓᲐᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘᲕᲘᲗ“ ᲰᲙᲘᲓᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲘᲒᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲪᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲓᲘ „ᲩᲐᲛᲨᲚᲔᲚᲘ“ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲩᲐᲘᲨᲐᲚᲝᲡ!

ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲣᲭᲭᲣᲠ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲐᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲡ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ: „ᲡᲝᲩᲣᲛᲛᲐᲪ“ ᲓᲐ „ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲛᲐᲪ“ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠ „ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲖᲘᲢᲝ ᲓᲔᲠᲔᲤᲜᲔᲑᲡ“ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ. ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲗᲖᲔ ᲖᲔᲬᲝᲚᲘᲡ ᲖᲔᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲑᲔᲠᲙᲔᲢᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲡ-ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲞᲘᲐᲠᲔᲑᲐ-ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲐ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲗᲐᲜ ᲛᲖᲐᲠᲓᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲞᲣᲢᲘᲜᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ. „ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ“ ᲠᲝᲛ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲡ, ᲐᲜ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲰᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ „Უ

შეიძლება თუ არა საარსებო მინიმუმით არსებობა?

მკვეთრად გაზრდილი ფასებისა და ინფლაციის ფონზე საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი ძალიან არასერიოზულად გამოიყურება. როგორც სპეციალისტები განმარტავენ მთავრობას მწირი რესურსებიდან გამომდინარე ხელს არ აძლევს მეთოდოლოგიის შეცვლა და რეალური მინიმუმის გამოანგარიშება.

საარსებო მინიმუმი „საქსტატის“ ინფორმაციით, იანვარში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 147 ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით, 2,1 ლარით, წინა თვესთან შედარებით კი 4,2 ლარით გაზრდილი მაჩვენებელია.

შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 166,3 ლარია, რაც წინა წელთან შედარებით 1,9 ლარით, ხოლო წინა თვესთან შედარებით, 4,9 ლარით გაზრდილი მაჩვენებელია.

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი იანვარში 278 ლარი იყო. რაც შეეხება ოჯახის ტიპებს: ორსულიანი ოჯახის საშუალო საარსებო მინიმუმი 235 ლარს და 60 თეთრს შეადგენს, სამსულიანისა — 265 ლარს, ოთხსულიანის — 294 ლარს, ხუთსულიანის — 331 ლარს, ექვს და მეტსულიანი ოჯახის კი — 391 ლარს.

ქართველი ეკონომისტები უკვე წლებია, მსჯელობენ და საარსებო მინიმუმის სიმცირეს არასწორი მეთოდოლოგიით ხსნიან, რომელიც 2003 წლის შემდეგ არ შეცვლილა.

როგორც „ეკონომიკური განათლებისა და სტრატეგიული კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი **ძეთევან კრიალაშვილი** აღნიშნავს, მეთოდები, რომლის მიხედვითაც საქართველოში საარსებო მინიმუმს ითვლიან, გადასახედია.

„სწორედ მეთოდოლოგიაში უნდა ვეძებოთ ის, თუ რატომ ვერ ასახავს რეალობას აღნიშნული მაჩვენებელი. საარსებო მინიმუმის ცნება სხვა ქვეყნებშიც არსებობს, მაგრამ მეთოდოლოგია ყველგან განსხვავებულია. მაგალითად, კალორაჟის მიხედვით ჩვენ უფრო წინ ვართ, ვიდრე აზერბაიჯანი და სომხეთი, მაგრამ წილობრივი მაჩვენებლები ამ ქვეყნებში ჩვენგან განსხვავებულია.

სახელმწიფო სტრუქტურები ამტკიცებენ, რომ საქართველოში პენსია და სოციალური დახმარება საარსებო მინიმუმთან არის გათანაბრებული, თუ საარსებო მინიმუმი დღევანდელზე ორჯერ მეტი იქნება, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მოქალაქის მინიმალურ სოციალურ დაცვასაც კი, ამიტომ, მისი დათვლის მეთოდოლოგია არ იცვლება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი მეთოდოლოგია უკვე შეთავაზებულია სამინისტროსთვის, ამ მიმართულებით ძვრები არ იგრძნობა“, — აღნიშნავს კრიალაშვილი.

სტატისტიკოს **სოსო არჩვაძეს** მიაჩნია, რომ იანვრის მონაცემი რეალობისგან ძალიან შორსაა, რადგან შრომისუნარიან მამაკაცს გაცილებით მეტი თანხა სჭირდება. ასევე საშუალო მომხმარებლის არსებობისთვის 147 ლარი საკმარისი არ არის.

„სწორი იქნებოდა, გაგვეზარდა ცხოველური წარმოშობის კვების წილი და შეგვემცირებინა მცენარეული წარმოშობის კვების წილი. ეს საშუალებას მოგვცემდა, რომ მიგვეღო არა მარტო დაბალანსებული კვების რაციონი, არამედ ღირებულებითაც გაგვეზარდა იგი და რეალურ მაჩვენებელთან მიგვეახლოვებინა. ეს სპეციალისტებისა და მთავრობის წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად უნდა მოხდეს.

ჩემი აზრით, 166 ლარი, რომელიც იანვრის მაჩვენებელშია, სულ ცოტა 70%-ით უნდა გაეზარდათ. ასე გამოდის მინიმალური თანხა, რომელიც ადამიანს ფიზიოლოგიური არსებობისთვის სჭირდება და იმისთვისაც, რომ მან მარტივი სოციალური ფუნქციის შესრულება შეძლოს. ყველაზე მინიმუმი, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 280-დან 300 ლარამდე უნდა იყოს. სტატისტიკა ამ მხრივ აშკარად სცოდავს“, — აცხადებს სოსო არჩვაძე.

პროფესორი **დავით ასლანიშვილი** ასეთ დაბალ მაჩვენებელს პირდაპირ უკავშირებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

„საარსებო მინიმუმიც ისეთივე გვაქვს, როგორიც არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა. თუ საქართველო ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას არ მიაღწევს, თუ მთლიანი შიდა პროდუქტი და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობა არ გაიზრდება, საარსებო მინიმუმის ზრდაც ნაკლებად მოსალოდნელია. ჩვენ არა გვაქვს ძლიერი ეკონომიკა, ის რესურსი და შემოსავლების ის რაოდენობა, რაც გვაქვს, მკვეთრი ცვლილებების საშუალებას არ იძლევა.

ჩვენი ბიუჯეტის 30% ისედაც სოციალურ დახმარებებზე მიდის — ვგულისხმობ პენსიებს, საყოველთაო დაზღვევას, საბიუჯეტო სექტორს... დაახლეობით 10% განკუთვნილია ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, არანაკლები ტვირთია ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო ვალები, ამიტომ საარსებო მინიმუმის სიმცირეს თავისი ობიექტური, მნიშვნელოვანი მიზეზები აქვს. ასე რომ, საარსებო მინიმუმის ოდენობა ჩვენი მდგომარეობის ანარეკლია“, — განუცხადა „ბიპიენს“ დავით ასლანიშვილმა.

ბექა დანელია

სავაჭრო ქსელები პრობლემებს ვერ უმკლავდებიან

სავაჭრო ქსელებს ფინანსური პრობლემები აქვთ. ამ საკითხს უმეტესობა ვერ უმკლავდება და მომწოდებლებთან ანგარიშსწორების თაობაზე პრობლემები აქვს. ამით დროის გაყვანას და კრიზისის გადაგორებას ცდილობს. ზოგიერთი სავაჭრო ობიექტი კი ამასაც ვერ ახერხებს. ამიტომ დედაქალაქის მასშტაბით სავაჭრო ქსელების დახურვის ტენდენცია შეიმჩნევა.

დისტრიბუტორი კომპანიების უმეტესობა კარგა ხანია, აცხადებს, რომ მათ კონკრეტული სავაჭრო ქსელებიდან თანხების ამოღება უჭირთ. სწორედ ამიტომ ისინი შესაბამისი კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობაზე მიუთითებენ.

კიდევ ერთი ბიზნესი, რომელიც რითეილერებისგან ფულის ამოღების პრობლემაზე საუბრობს — კომპანია „მეგაპლასტი“ ამ საკითხის კანონმდებლობით დარეგულირებას ითხოვს. როგორც კომპანიის თანადამფუძნებელი **ზაზა მჭედლიშვილი** აცხადებს, დღეს ძალიან ჭირს მწარმოებლებისთვის თანხების ამოღება კონკრეტული სარეალიზაციო ობიექტებიდან, ამიტომ პრობლემა კანონმა უნდა მოაწესრიგოს.

„მაგალითად, ამერიკაში არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც, თუ მე მაღაზიაში შევიტანე ღვინოს, არა აქვს მნიშვნელობა ეს მაღაზია პროდუქციას გაყიდის 1 თვეში, 3 თვეში თუ 3 წელიწადში, ის თუ მიიღებს პროდუქციას, ვალდებულია, კონკრეტული ვადის გასვლის შემთხვევაში გადამიხადოს საფასური. თუ არ იხდის, იქ უკვე ერთვება შესაბამისი უწყებები.

სამწუხარო ისაა, რომ თანხების ამოღება მარტო ჩემი პრობლემა არ არის. ძალიან ბევრ ბიზნესს აქვს ეს პრობლემა. ინდივიდუალურად ვაგვარებთ ამ ყველაფერს, მაგრამ ეს არის ადამიანურ ურთიერთობებზე დამყარებული და ეს რომ კანონით რეგულირდებოდეს, უფრო პროგნოზირებადი იქნებოდა ჩვენი ბიზნესი, შემოსავლებიგასავლები და ა.შ.“, — განუცხადა „ბიზნესკონტრაქტს“ ზაზა მჭედლიშვილმა.

პარალელურად პრომლემა არის ის, რომ სავაჭრო ქსელები თანდათან იხურება. „ფურშეტის“ შემდეგ, უქმდება გლდანის „სმარტი“. პრობლემა აქვს მოზრდილ სუპერმარკეტებს. ყველა მათგანს დისტრიბუტორებთან თანხის გადახდის პრობლემა აქვს. მცირე და საშუალო ზომის მაღაზიების ლიკვიდაციის შემდეგ, სწორედ მათი დახურვა დადგა დღის წესრიგში.

საქართველოში დაახლოებით 15 უმსხვილესი სავაჭრო ქსელი მოქმედებს. გარდა ამისა, უამრავია მცირე და საშუალო მაღაზიები და ბაზრობები, სადაც თითქმის ყველაფრის შეძენა შეიძლება. 3,7-მილიონიანი ქვეყანისთვის ამ რაოდენობით სავაჭრო ობიექტები აშკარად ზედმეტია, ამიტომაც ხშირია ლიკვიდაციის შემთხვევები.

ეკონომისტი **პაატა აროშიძე** ამბობს, რომ სავაჭრო სეგმენტში თანდათან გამსხვილების ტენდენცია იკვეთება. ბაზარზე უფრო ძლიერი მოთამაშე შემოდის, რომელსაც სურს საცალო ვაჭრობის მთლიანად გაკონტროლება.

„გასაგებია, რომ ხალხს ფული არა აქვს და ვერ ახერხებენ მარკეტებში პროდუქტის შეძენას, თუმცა ეს არ არის მსხვილი სავაჭრო ობიექტების დახურვის მიზეზი. მე ამას, პირველ რიგში, მონოპოლიების გაძლიერებას დავუკავშირებდი. მძლავრი სავაჭრო ცენტრები შთანთქავენ უფრო ნაკლებად მძლავრ სუპერმარკეტებს. შესაძლოა, ბაზარზე უფრო ძლიერი მოთამაშე შემოდის ან უკვე შემოსულია, რომელსაც სურს საცალო ვაჭრობის მთლიანად გაკონტროლება“, — აცხადებს არაშიძე.

ბექა დანელია

ისრაელმა საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანა

აღნიშნულ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს:

„ისრაელის სახელმწიფომ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისრაელის სახელმწიფოს შეფასებით, საქართველოში არავის ემუქრება რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნის საფუძვლიანი საფრთხე.

შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა მიერ თავშესაფრის მიღების მიზნით წარდგენილი განცხადებები (თუ არ იარსებებს რეალური მიზეზი) არ დაკმაყოფილდება.

საქართველოს უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანა, ასევე, გულისხმობს თავშესაფრის მიღების მოთხოვნით წარდგენილი განცხადებების განხილვის პროცედურულ ცვლილებებსაც. კერძოდ:

— თავშესაფრის მოთხოვნის განცხადება განხილულ იქნება განსაკუთრებით დაჩქარებული წესით (მაქსიმუმ ერთი თვის განმავლობაში);

— საქართველოს მოქალაქეს, რომელიც თავშესაფრის მოთხოვნით მიმართავს ისრაელის მოსახლეობისა და იმიგრაციის სამსახურს აღარ მიეცემა განცხადების განხილვის პერიოდში ისრაელში დასაქმების უფლება.

ისრაელის სახელმწიფო რიგით მეხუთე ქვეყანაა, ბელგიის სამეფოს, საფრანგეთის, ბულგარეთისა და ავსტრიის შემდეგ, რომელმაც საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანა“, — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

ნადეჟდა სავჩენკო დონეცკში ვიზიტის გამო დაკითხეს

ნადეჟდა სავჩენკო უკრაინის უშიშროების სამსახურმა დაკითხა. ამის მიზეზი დონეცკში უმაღლესი რადის დეპუტატის ვიზიტი გახდა. სავჩენკომ სეპარატისტთა ტყვეობაში მყოფი უკრაინელი სამხედროები მოინახულა, რის შემდეგაც კიევსა და დონეცკს ტყვეების გათავისუფლებისკენ მოუწოდა. უკრაინის უშიშროების სამსახურის მრჩეველი იური ტანდიტი აცხადებს, რომ სავჩენკოს ვიზიტი რუსულმა სპეცსამსახურებმა დაგეგმეს.

„გაზპრომი“ ევროპას გაზს გაუძვირებს

„გაზპრომი“ ევროპას გაზს გაუძვირებს. ამის შესახებ კომპანიის წარმომადგენელმა ალექსანდრ მედვედევმა განაცხადა. მისივე

თქმით, ევროპაში ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირის საფასური წელს 190 დოლარამდე გაიზრდება. გასულ წელს ევროპა ათას კუბმეტრ რუსულ გაზში 167 დოლარს იხდიდა.

კიევში ხიდი ჩაინგრა

კიევში, შულიავსკის ხიდი, რომელზეც კიევის მთავარი ავტომაგისტრალი გადის, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში, ჩაინგრა. ჩანგრევის შედეგად ადამიანები არ დაშავებულან. ხიდის ქვეშ მხოლოდ ერთი მანქანა იმყოფებოდა, რომელიც დაზიანდა.

ტაჯიკეთში 20 რუსული სკოლა გაიხსნება

მოსკოვი ტაჯიკეთში რუსული სკოლების მშენებლობას დააფინანსებს. ამის შესახებ რუსეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა განაცხადა. იგორ შუვალოვის თქმით, პროექტი კრემლის ლიდერის მიერ არის ინიცირებული. პუტინის ახალი ინიციატივა ტაჯიკეთში 20 რუსული სკოლის მშენებლობას და რუსული ენის გაძლიერებულ სწავლას ითვალისწინებს.

საბერძნეთში ტრადიციული ფესტივალი გაიმართა

ფქვილის ომი საბერძნეთში. მხიარული ფესტივალი ტრადიციულად, ქალაქ გალაქსიდიში გაიმართა, რომელიც ათენიდან 200 კილომეტრში მდებარეობს. ასპარეზობა ქალაქში ყოველი წლის თებერვლის ბოლოს, დიდი მარხვის დაწყებამდე იმართება. გალაქსიდის ქუჩებში ასობით ტომარა შეფერილი ფქვილი გამოაქვთ და ერთმანეთს აყრიან. ტრადიცია სათავეს 1801 წლიდან იღებს, როდესაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ოსმალეთის იმპერიის მიერ ოკუპირებულ ქალაქში აკრძალული კარნავალი გამართეს.

ჭიდაობა

ბულგარული ნადავლით

ერთი „ოქრო“, სამი „ვერცხლი“ და ორი „ბრინჯაო“ – ასეთი ნადავლით დაბრუნდა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი ემზარ ბედინეიშვილი, მწვრთნელი ბელდუხ გავაშელი) ბულგარეთის დედაქალაქ სოფიიდან, სადაც პეტკო სირაკოვისა და ივან ილიევის მემორიალი გაიმართა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ხარაგაულელი ზაურ ბერაძე (86 კგ), ფინალში დამარცხდნენ სამტრედიელი გოგა ძიგუა (50), ქუთაისელი მირზა სხულუხია (70) და მცხეთელი ზურაბ ურთაშვილი (125), რომლებმაც მეორე ადგილები დაიკავეს, ხოლო სამტრედიელი ედემი ბოლქვაძე (61) და ხაშურელი თორნიკე კვინიკაძე (74) „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ.

ეს ტურნირი წლეულს საიუბილეო იყო – მეოცედ ჩატარდა. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 14 ქვეყნის წარმომადგენლები ცდიდნენ ძალებს. ბერაძე შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაება: ზედიზედ სძლია უნგრელ პატრიკ პუსპოკის (7:0), უკრაინელ ანატოლი ჩერვონენკოს (10:5), უკრაინის სახელით მოჭიდავე მარკ მარქარიანს (12:2) და პირველი ადგილი დაიკავა.

მსგავსი წარმატების შანსი ხელიდან გაუშვა ჩვენმა სამმა ფალავანმა: ძიგუამ დამაჯერებლად ჩაატარა წინასწარი ორთაბრძოლები – ჯერ ბულგარელ პანაიოტ დიმიტროვს აჯობა 4:3, მერე მისი თანამემამულე პეტარ პეტროვი დაჯაბნა (10:0), გადამწყვეტი პაექრობა კი უზბეკ რუსტამბეკ ჯურაევთან წააგო – 4:10.

სხულუხიამაც ორ მეტოქეს მოუგო – უზბელ ჯასურბეკ უსმონოხუნოვსა (11:5) და ბულგარელ ახმედ ჰუსაინს (10:6), ხოლო მოლდოველ ტომა ვასკანთან ერთი ქულის სხვაობით (7:8) დამარცხდა. მძიმე წონაში ურთაშვილმა უზბეკი ხასანბოი რახიმოვი (14:8) და ბულგარელი დანიელ ვესელინოვი (1:1-ზე ბოლო ქულის წყალობით) ჩამოიშორა გზიდან, ფინალში კი მასპინძელ მარიან ტოდოროვთან ვერაფერს გახდა (3:8).

ბოლქვაძემ ნახევარფინალი რუს ნიკოლაი ოკლოპკოვთან წააგო – 2:4, ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში კი იაპონელ ნიკი იოსუკეს აჯობა (4:2). მსგავსი გზა გაიარა კვინიკაძემაც - ნახევარფინალში ჩვენებურს რუსმა გერმან უსტინოვმა დააყრევინა ფარხმალი (11:5), თუმცა, დამამშვიდებლის ფინალში თორნიკემ მასპინძელი მიჰოვ პრესიანი დაჯაბნა (14:4).

ლექსო ცინცაძე

ბატუტზე ხტომა

ეროვნულის თბილისური პრელუდია

ორიოდ თვეში ბატუტზე მხტომელთა საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის ძალთა ერთგვარი შემოწმება იყო თბილისის ღია პირველობა, რომელშიც დედაქალაქელებთან ერთად გორის, მარნეულისა და აფხაზეთის 110-მა წარმომადგენელმა იასპარეზა. საინტერესო პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

სპორტის ოსტატობის პროგრამით

გოგონები. 1. ქრისტინე სორდია (91,79), 2. მარიამ ეგაძე (82,88), 3. ნუცა ჭკუასელი (80,88); **ვაჟები.** 1. ლაშა გაბაშვილი (93,31), 2. გიორგი ნაცვლიშვილი (91,54), 3. გიორგი ავლოხაშვილი (88,33).

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით

გოგონები. 1. მეგი ფარულუა (93,02), 2. ანანო აფაქიძე (91,56), 3. მარიამ ხეღლაძე (84,05); **ვაჟები.** 1. გიორგი ნაცვლიშვილი (92,33), 2. ნიკოლოზ შახბაზიანი (80,35), 3. თამაზ ლომსაძე (78,96).

პირველი თანრიგი

გოგონები. 1. მარიამ რაგიმოვა (89,08), 2. მარიამ ჯიქია (87,51), 3. ლელა არდოტელი (82,19); **ვაჟები.** 1. ნიკოლოზ შახბაზიანი (81,75), 2. თამაზ ლომსაძე (79,19), 3. სანდრო ჩერქეზია (60,28).

გუნდური

გოგონები. 1. ტანვარჯიშის განვითარების ცენტრი (203,17), 2. კლუბი „მჭევრი“ (189,66), 3. „ჯორჯია“ (160); ვაჟები. 1. „ზევსი“ (207,5), 2. გორი (153,32), 3. „მჭევრი“ (143,5).

გივი გაგუა

სურათზე: ჩემპიონები და პრიზიორები ორგანიზატორებთან ერთად.

ჭადრაკი

ჩიგოგიძის თასი და მსოფლიოს საგზურები

20-წლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე მედლებთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის – კახი ჩიგოგიძის თასიც გათამაშდა. გოგონებში ოქროს მედალთან ერთად ეს საპატიო ჯილდო დაიმსახურა მარიამ ჭოლაძემ, რომელმაც შვეიცარიული სისტემით გამართულ შეჯიბრებაში ცხრავე პარტია მოიგო და უახლოეს მდევარს სამი ქულით გაუწრო. 6 ქულით მეორე ადგილი მარიამ ჯანიაშვილმა დაიკავა, ხოლო 5.5 ქულით მესამე იყო ნატა ჯიბუტი. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მეოთხე ადგილს თამარ ესაძე დასჯერდა.

ვაჟებში ნოე თუთისანი ცხრა შესაძლებლობიდან 7 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ჩემპიონს ნახევარი ქულით ჩამორჩა ნიკა ღვამბერია. 6 ქულით ბრინჯაოს მედალი საერთაშორისო ოსტატ გიორგი სიბაშვილს ერგო.

საქართველოს ჩემპიონებმა – მარიამ ჭოლაძემ და ნოე თუთისანმა 20-წლამდელთა მსოფლიოს პირველობის საგზურებიც მოიპოვეს.

თამაზ პატარიძე

ლეგიონერი



ზაზა ფაჩულიამ მას შემდეგ, რაც “გოლდენ სტეიტში“ გადავიდა, პირადსარეკორდო 16 ქულა ჩააგდო.

ზაზას სარეკორდო 16 ქულა და 50-ე გამარჯვება

ოკლენდელებმა გასვლაზე „ფილადელფიას“ 119:108 აჯობეს. ზაზამ პარკეტზე 14 წუთი და 30 წამი დაჰყო, რა დროშიც გუნდს 16 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და ერთი ბლოკ-შოტი შესძინა. ქართველმა ცენტრმა 5-დან ხუთი ორქულიანი და 7-დან ექვსი საჯარიმო სროლა ჩააგდო.

რაც შეეხება უშუალოდ ბრძოლას, მატჩში გადამწყვეტი მესამე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც „მეომრებმა“ 34:24 მოიგეს. შეხვედრაში ყველაზე მეტი 27 ქულა კევინ დიურანტის ანგარიშზეა, დრეიმონ გრინმა ორმაგი დუბლი შეასრულა – 14 ქულა, 11 პასი. „ფილადელფიაში“ კი 21 ქულით დარიო საჩიჩი გამოირჩა.

„გოლდენ სტეიტი“ 50 გამარჯვებით და 9 მარცხით დასავლეთ კონფერენციას ლიდერობს. მომდევნო შეხვედრაში „ოქროს შტატელები“ „ვაშინგტონ ვიზარდს“ დაუპირისპირდებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგით

თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ წყვილებში ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირის მოგებით 280 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა და ერთბაშად 10 საფეხურით დაწინაურდა - თავის საუკეთესო მაჩვენებელს (43-ე 2016 წლის 23 ივნისს) ერთი ადგილით ჩამორჩება.

წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა განახლებულ მსოფლიოს კლასიფიკაციაში ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:

ქალები

ერთეულები. 228 (226). სოფიო შაფათავა (223), 319 (325). ეკატერინე გორგოძე (128), 514 (515). მარიამ ბოლქვაძე (56), 624 (627). სოფიო ქვაცაბაია (36), 848 (848). ოქსანა კალაშნიკოვა (14), 1059 (1063). ანა შანიძე (7).

წყვილები. 44 (54). კალაშნიკოვა (1725), 178 (179). შაფათავა (347), 240 (242). გორგოძე (240), 467 (473). ქვაცაბაია (93), 557 (562). ბოლქვაძე (65), 712 (715). თათია მიქაძე (37), 1129 (1132). შანიძე (10), 1278 (1283). ლანა კენჭიაშვილი (3).

ოქსანა კალაშნიკოვა

ვაჟები

ერთეულები. 53 (53). ნიკოლოზ ბასილაშვილი (868), 502 (505). ალექსანდრე მეტრეველი (73), 832 (828). გიორგი ცივაძე 920), 1770 (1772). ალექსანდრე ბაქში (1), შოთა მეფარიძე (1), ირაკლი მეტრეველი (1).

მიმდინარე კვირას ოქსანა კალაშნიკოვა კუალა ლუმპურში (მალაიზია) 250.000-იან ტურნირში ითამაშებს ყაზახ გალინა ვოსკობოევასთან ერთად. პირველ წრეში ისინი მიიუ კატოსა (იაპონია) და კაილინ ჟანის (ჩინეთი) დაუპირისპირდებიან. გიორგი ცივაძემ ანტალიის 15.000-იან ტურნირში წარმატებით დაძლია საკვალიფიკაციო ეტაპი და ძირითად ბადეში მოხვდა.

ლაშა დიდია

ფეხბურთი



რანიერის სიქველე

„ლესტერმა“ კლაუდიო რანიერის გათავისუფლებისთვის საკომპენსაციო თანხა გადაუხადა, რომლის ნახევარიც იტალიელმა მწვრთნელმა საქველმოქმედო ფონდში გადარიცხა. ამის შესახებ ბრიტანული საიტები წერენ.

რაც შეეხება თანხის ოდენობას, რანიერის კომპენსაციის სახით 3 მილიონი გირვანქა მიუღია, ხოლო 1,5 მილიონი საქველმოქმედო ორგანიზაცია Foxes Foundation Charity-ს ჩაურიცხა.

როგორც იცით, რანიერიმ ფურორი მოახდინა, „ლესტერი“ შარშან ინგლისის ჩემპიონობამდე მიიყვანა, ამ სეზონში კი გუნდს მკვეთრად გაუუარესდა შედეგები და ჩემპიონთა ლიგაში „სევილიასთან“ სტუმრად 1:2 წაგების შემდეგიტალიელი სპეციალისტი მოხსნეს.

გიორგი ზოთაძე

ნორა არღვლიანი (კვიციანი) სასამართლომ გაამართლა

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ნორა არღვლიანის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა, — ამის შესახებ განცხადებას მთავარი პროკურატურა ავრცელებს:

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შემდეგ, ამავე კოდექსის 310-ე მუხლის „ზ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2016 წლის 17 ნოემბერს, ახალმა დეპარტამენტმა მსჯავრდებულ ნორა არღვლიანის მიმართ განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის შედეგადაც სრულად გამოირიცხა ნორა არღვლიანის მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

კერძოდ, გამოძიებით დადგინდა, რომ ნორა არღვლიანს სამართალდამცავებმა თავისუფლება აღუკვეთეს უკანონოდ და მას ბრალდება წარუდგინეს ყალბი მტკიცებულებების საფუძველზე.

2006 წლის 25 ივლისს კოდორში განვითარებული მოვლენების დროს ბატალიონ „მონადირის“ ხელმძღვანელის ემზარ კვიციანის და მისი თანამებრძოლების დაკავების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული დანაყოფები შევიდნენ კოდორის ხეობაში, სადაც ნათესავებთან ერთად იმყოფებოდა ემზარ კვიციანის და ნორა არღვლიანი, რომელსაც არანაირი წინააღმდეგობა სამართალდამცავებისთვის არ გაუწევია. მიუხედავად ამისა, ნორა არღვლიანის, ადგილობრივი მოსახლეობის და კოდორისგან ჩამოცილების და გაქცეულ ემზარ კვიციანზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს ნორა არღვლიანის შეპყრობა.

კოდორის ხეობის დაკავებიდან მეორე დღეს, 27 ივლისს, შს სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს ნორა არღვლიანს და ყოველგვარი დაკავების ოქმის შევსების და სამართლებრივი პროცედურების დაცვის გარეშე, მისი უფლებების უხეში დარღვევით, იგი გადაიყვანეს თბილისში მოდულის შენობაში და მხოლოდ 29 ივლისს, მისი შეპყრობიდან 2 დღის შემდეგ დაიწყეს ყალბი მტკიცებულებების შექმნით პროცესების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა.

კერძოდ, სამართალდამცავების ოფიციალური ვერსიით, ნორა არღვლიანის დაკავება თითქოს მოხდა 29 ივლისს, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ამოღების შემდეგ. მაშინ როდესაც ახალი გამოძიებით დადგინდა, რომ ნორა არღვლიანის საცხოვრებელ ბინაში არანაირი ჩხრეკა არ ჩატარებულა, ჩხრეკაში მონაწილე სამართალდამცავები კოდორის ხეობაში საერთოდ არ ყოფილან და კოდორის ხეობაში მათი შესვლისას

მისი საცხოვრებელი სახლი ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სიტუაციის მართვის შტაბად გამოიყენებოდა, ნორა არღვლიანი კი უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი მოდულის შენობაში ჰყავდათ გადაყვანილი.

ნორა არღვლიანის ბრალდების დამძიმების და მისთვის მძიმე სასჯელის დაკისრების მიზნით, მას ასევე წარუდგინეს მითვისების ცრუ ბრალდება, თითქოს 2005 წელს, მან ჰუმანიტარული საქონელი ნაცვლად სოფელ ჩხალთის მოსახლეობისთვის დარიგებისა, თავად მითვისა და ასევე თითქოს იგი მოუწოდებდა ბატალიონ „მონადირის“ წევრებს, არ დამორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. აღნიშნული ბრალდებები სრულად იქნა გამორიცხული ახალი გამოძიებით და დადასტურდა ნორა არღვლიანის უდანაშაულობა წარდგენილ ბრალდებებში. ცრუ ბრალდების საფუძველზე ნორა არღვლიანმა საპატიმრო დაწესებულებაში 6 წელი გაატარა და მისი გათავისუფლება მხოლოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ 2012 წლის ნოემბერში მოხერხდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებული სამივე ეპიზოდში გაამართლა.“

◎ მეხსიერების პარადოქსები

„წარსული ცხოვრების“ საიდუმლოებანი

ბევრ ჩვენგანს, ალბათ, ზოგჯერ ჰქონია შეგრძნება, რომ ოდესღაც ის უკვე ყოფილა მისთვის სრულიად უცნობ ადგილას, ანდა იმ წუთს მიმდინარე მოქმედებათა მომსწრე უწინ უკვე ყოფილა. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მსგავსი შეგრძნება ადამიანთა 30-დან 96 პროცენტს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია.

მაშ რა არის სინამდვილეში ეს „დეჟავიუ“ (ანუ ფრანგულად „წარსული ცხოვრება“): გზავნილი უწინდელი ცხოვრებიდან თუ ერთგვარი აშლილობა თავის ტვინის მუშაობაში?

ფსიქოანალიზის ფუძემდებლის ზიგმუნდ ფროიდის მოწაფე **კარლ იუნგი,** თავადაც მსოფლიო სახელის მქონე ფსიქოლოგი გახდა. და ალალად სწამდა, რომ ექიმობის ნიჭი მემკვიდრეობით წინა ცხოვრებიადან ერგო, იუნგის აზრით, ვიდრე ქვეყანას ხელმეორედ მოევლინებოდა, იგი მე-18 საუკუნეში ცხოვრობდა და მედიკოსი იყო. ეს აზრი მას იმის შემდეგ გაუჩნდა, რაც 12 წლის ასაკში ახლობლები ოჯახში სურათი ნახა, რომელზეც მე-18 საუკუნის სამოსელში გამოწყობილი მამაკაცი იყო გამოსახული. ნორჩი იუნგი შემდგომ ირწმუნებოდა, რომ მან იცნო ფეხსაცმელი, რომელსაც... დაბადებამდე ატარებდა. მისი თქმით, ტილოზე გამოსახული მამაკაცი, პროფესიით ექიმი, მისი რეინკარნაცია იყო.

წარსული ცხოვრების შესახებ ლაპარაკი თანამედროვე მეცნიერებას სრულ აბსურდად მიაჩნია, თუმცა კი მას მრავალი ჩვენი ცნობილი თანამედროვე ადამიანი სავსებით სერიოზულად აღიქვამს. მაგალითად, მომღერალ **მადონას** მიაჩნია, რომ იგი ოდესღაც ჩინელი იმპერატორის მსახური იყო — პეკინში აკრძალული ქალაქის ინტერიერები მას დიდად ეცნო. ეგვიპტეში პირველი მოგზაურობის დროს კი მეორე ცნობილმა მომღერალმა **ტინა ტერნერმა** იგრძნო, რომ ის ოდესღაც ფარაონების დროს ცხოვრობდა და ბევრი წვრილმანიც გაიხსენა...

თუმცა ამ ტიპის განცხადებებზე მეცნიერებს ეცინებათ და წარსული ცხოვრების ეფექტს სულ სხვა თეორიებით ხსნიან. ერთ-ერთი მათგანით, დეჟავიუ მაშინ წარმოიქმნება, როცა ჩვენ ადრე ნანახის მსგავს ადგილებსა და საგნებს



ვხედავთ. თანაც ეს არ არის ჩვეულებრივი სურათები, რადგან ის, რასაც ყოველღიურად ვხედავთ, მეხსიერებაში მკვიდრად გვიჯდება და მისი სხვა რამესთან არევა შეუძლებელია.

ჩვეულებრივ მდგომარეობაში დეჟავიუს შეგრძნება ხალხს იშვიათად ემართება. სხვა საქმეა, როცა ადამიანი ძლიერ სტრესს ან ემოციას განიცდის — ასეთ მდგომარეობაში ტვინს მოზაიკის არასწორად „აწყობა“ შეუძლია. შემთხვევითი როდია, რომ დეჟავიუ ხშირად ყმაწვილურ ასაკში მოსდით — ამ დროს ფსიქიკას ჯერ მდგრადობა აკლია.

სხვა თეორიის თანახმად, **დეჟავიუ სხვა არაფერია, თუ არა მივიწყებული სიზმარი.** ცრუ მოგონებები ადამიანებს მაშინ უჩნდებათ, როცა რაღაცით დადარდიანებულები არიან.

არსებობს მესამე ვერსიაც. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით **ესაა შეფერხება თავის ტვინის მუშაობაში:** მარცხენა ნახევარსფერო რეალურ დროში შემოსულ ინფორმაციას ამუშავებს და სამომავლო სტრატეგიას სახავს, მარჯვენა კი წარსულის შესახებ ცნობებს ინახავს. სტრესის მდგომარეობაში ან ტრავმის შემდგომ კი ყველაფერი ერთმანეთში ირევა.

ცრუ მოგონებების თავს მოხვევა სხვა ადამიანებსაც შეუძლიათ. მაგალითად, ორი თვის მანძილზე სკოლამდელი ასაკის ბავშვებს იმას ეკითხებოდნენ, რატომ მოყვათ თითი კარებში, თუმცა მსგავსი რამ არც ერთ მათგანს არ დამართნია. ათი კვირის შემდეგ კი ვერც ერთი ბავშვი ვერაფრით ვერ გადაარწმუნეს, რომ მსგავსი რამ საერთოდ არ მოსვლია.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

სათრეველად მითძვამს...

არა ცილ სწამო!

შემაძრწუნა მეუფე პეტრეს
ბრალდებებმა ქალბატონ
შორენა თეთრუაშვილზე

ხვდება სოფელიც, ქალაქიც,
ბინძურად ადევს ლაქს ლაქი
და ქვეყნად ცოდვა მოდიდდა,

როცა ჭყონსა და ჭყონდიდელს,
და მათ დიდებას ოდინდელს,
ამცრობს ჭორი და ლაქლაქი.

ნამდვილად გამკვირვებია,
ცოდვა რომ ჩაჰკირვებია
და არ ეკრძალვის სამებას.

რატომ ჰგონია ცაავას,
რომ არ მოჰკითხავს ცა ავად
მოყვასზე ცილისწამებას?

იმედი არ მაქვს!

გთხოვთ, ყური მიუგდეთ
ყარაბას- ბარაბასს,
ვინც ჯოხი უხეშად
შემოკრა ბარაბანს,
ის იცავს ყვარყვარეს,
ის იცავს ბარაბას!

მე კი არ დავფიცავ,
სახალხო დამცველის
არც გვერდში დგომას და
არც დაცვას არ ველი,

რადგანაც ცისფერი
და გეი არ ვარ და
არ მახსოვს, ლუკმა რომ
მიმეღოს არმადა!

ალექსანდრე შენგელია

◎ კრიმინალი

უაქციზო თამბაქოს ნაწარმს ჰყიდდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული პროდუქციის, თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკის გარეშე რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში მალულად გაასაღა მარკირებას დაქვემდებრებული სომხური წარმოების უაქციზო სიგარეტი „მასტერი“. საგამოძიებო სამსახურის მიერ უაქციზო თამბაქოს ნაწარმი ამოღებულა ნივთმტკიცების სახით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 2-დან 4 წლამდე.

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელია-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ძუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* **ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.**

◎ პოეტის ერთი ლექსი

ტურისტული სეზონის პრელუდია

პირდაპირ წაგვლეკა კოკა-კოლის რეკლამამ,
მე კი სული მიმდის ცივი ლუდის გულისთვის,
ბულვარში დელფინს ქოლგა ხელში ეკავა,
და სურათებს უღებდა ბრიტანელი ტურისტი.

ბათუმში „ჩამოსულს“ მეძახის რაჭველი,
აქაც და რაჭაშიც შაშვია შაშვი.
მწვანე კონცხი ჰგონია გემრიელი საჭმელი,
„მტირალა“ ჰგონია ჭირვეული ბავშვი.

ლადო სეილიშვილს ჰეგელი შეხვედრია,
მე კი ბულვარში ბრიჯიდ ბარდო ვნახე.
მსგავსი ალუზია პოეტების ხვედრია,
იესოს მივამსგავსე ფიროსმანის სახე.

პირზე აკერია სუყველას ზღვა და ზღვა,
აგვისტოში პლაჟზე ვეღარც კი ვეტევით.
ბათუმში ირევიან ტურისტები სხვა და სხვა
ეთნოსის, სქესის და კონტინენტების.

აქ არის თურქი, ჩინელი, ბერძენი,
აქ არის ფრანგი, არაბი, ინდოელი,
მოდიან და ოქროს საწმისებს ეძებენ,
ეძებენ, მიწასაც თავისად ინდომებენ.

მე კი, საწყალი, ვბრაზდები და ვბრაზდები,
დაქცევის ფაქტორი ძალიან დიდია,
ყველაფერს ყიდიან ჩვენი არამზადები,
ყველაფერთან ერთად თავისთავსაც ყიდიან.

მაისიდან იწყება ტურისტული სეზონი,
და, რაღა თქმა უნდა, იწყება რომანიც,
ტურისტებით ივსება ქუჩები და ეზონი,
ივნისი ბათუმში საოცნებო დრო არი.

ბათუმში გვაქვს ბევრი საუნჯე და განძი,
არც კი ვიცი, მე მათ რა პატივი მივაგო –
ოიდიპოს მეფე იუსუფ კობალაძის,
მერაბ ხინიკაძის კიკვიძე და იაგო.

მაშინ, როდესაც ცას ნისლები ედება,
ლუდის ქაფივით მსუქანი ნისლები,
წამოწვიმს და უცებ პლაჟი ცარიელდება,
სამაგიეროდ, კაფეები ივსება.

საღდება და საღდება ნაყინი და ლუდი,
ჭვანელი შექსპირს კითხულობს დედანში,
ადგილს ვეღარ იპოვი, ძალიან რომ გსურდეს,
აჭარულ ხაჭაპურზე კაფე „ცეროდენაში“.

ერთხელაც ლამაზმანზე შევაჩერე თვალი,
საღამოს ბულვარში როცა ამიგრილდა,
ახლა იშვიათია რუსის თეთრი ქალი,
ვიწრო თვალებიანი, რამდენიც გინდა!

არიან, მაგრამ მე რაში მარგია,
მე სხვათა ალერსის მახეში გავები,
მე თეთრი ქალების მკლავს ნოსტალგია,
თეთრი ღაწვების და ცისფერი თვალების.

მახსოვს, ზამთარში კანადური ქურქით,
რუსი პოეტესა იუნა მორიცი.
წავიდა რუსი,მოვიდა თურქი,
მოვიცლი, სულ მალე მისთვისაც მოვიცლი.

მე კი მაინც მიყვარს ჩემი თამარი,
ნატაშას მირჩევნია აჭარელი ფატუშა.
ჩემთვის ყველაფერი ქართულია მთავარი,
გადარჩენის შანსი ხელიდან არ გავუშვათ.

ვერაფერსაც ვერ ვამბობ, მე ახლა მუნჯი ვარ,
პეტერბურგში დავდივარ შენი გულისთვის.
ბულვარში დელფინს ქოლგა ხელში უჭირავს
და სურათებს უღებს ბრიტანელი ტურისტი.

შოთა ზოიძე
ქ. ბათუმი

ძილი თურმე დედიშობილა სჯობს

პიჟამის გარეშე ძილი გახდომის ხელშემწყობი ფაქტორი ყოფილა.

აღმოჩნდა, რომ თუკი ძილში კაცს სცივა, მაშინ ნივთიერებათა ცვლა ჩქარდება, კალორიების დაწვის პროცესი კი ჩქარდება.

მეცნიერებმა ასევე ისიც დაადგინეს, რომ 20 პროცენტით უფრო ნაკლებად უჩივიან ჭარბ წონას ისინი, ვისაც სიბნელეში ძინავს. სინათლე მელატონინის გამომუშავებას ამცირებს, რომელზეც ძილის ხარისხია დამოკიდებული, ხოლო თუკი ადამიანს ძილი აკლია, მაშინ იგი საკვებს ჭარბად იღებს.

ისევ ქაღალდის წიგნის კითხვა სჯობს!

პლანშეტები და ელექტრონული პლანშეტები ღამის ძილს ვნებენ, გვაფრთხილებენ ამერიკელი მეცნიერები.



ექსპერიმენტის მსვლელობისას მოხალისეები ძილის წინ რამდენიმე საათის განმავლობაში ან ქაღალდზე დაბეჭდილ, ანდა მანათობელ ეკრანზე გამოტანილ ელექტრონულ წიგნებს კითხულობდნენ. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც წიგნებს ელექტრონულ მოწყობილობებზე კითხულობდნენ, ღამე ძილის მოთხოვნილება არ ჰქონდათ, უფრო დიდხანს იძინებდნენ, ასევე ნაკლები ეძინათ.

მეცნიერთა მონაცემებით, გაჯეტების გამოსხივებული ლურჯი შუქი, არღვევს ორგანიზმის დღეღამურ რიტმებს და ამცირებს ძილის მარეგულირებელი ჰორმონის – მელატონინის გამომუშავებას.

კვერცხის დაცვა

დღეში მხოლოდ ერთი კვერცხის მოხმარება ინსულტის განვითარების რისკს 12 პროცენტით ამცირებს, გამოიანგარიშეს ამერიკელმა დიეტოლოგებმა, თუმცა კი ამ ეფექტის ახსნა ჯერჯერობით არ შეუძლიათ.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ყველაფერი კვერცხებში ანტიოქსიდანტების შემცველობასთანაა დაკავშირებული, რომლებიც აქტიურად ებრძვიან ანთებებს და დაჟანგვის დონეს ამცირებენ.

ქათმის ერთი კვერცხი დაახლოებით 6 გრამ ცილას, ანტიოქსიდანტებს ლუტეინს და ზეაქსანტინს, ასევე A, D და E ვიტამინებს შეიცავს. გარდა ამისა, კვერცხში მრავლადაა პოლიგაჯერებული ცხიმის მჟავები (ისინი ასევე ბევრია თევზშიც), რომლებიც დიდად სასარგებლოა თავის ტვინის მუშაობისთვის.

იცით თუ არა, რომ...

• **დღის** მანძილზე ერთი თავი ჩვეულებრივი თეთრი კომბოსტო იმდენივე წყალს სვამს, რამდენსაც მუშა ცხენი?

• **ყურების** მოძრაობას იგივე ნერვული დაბოლოებები აკონტროლებენ, რომლებიც ადამიანს სიცილს აიძულებენ. ყურების მოძრაობა ყველას არ შეუძლია, ხოლო მათ შორის, ვისაც ამის უნარი აქვს, ქალებზე ორჯერ მეტი მამაკაცია?

• **განრისხებული** ქამელეონი სიბრაზისგან...შავდება?

• **ფეხით** მოსიარულეთათვის შუქნიშანი დადგეს პრაღის ყველაზე ვიწრო ვინარნა ჩერტოვკას ქუჩაზე, რომლის სიგანე სულ 70 სანტიმეტრია და ორი კაციც ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევს?

• **ჩინეთის** ქალაქ ჩუნცინში საგანგებო საფეხმავლო ხაზი გახსნეს იმ პირთათვის, ვინც სმარტფონიდან თვალის მოუცილებლად დადის?

• **გერმანიის** ქალაქ დიუსელდორფში ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ შუქნიშნებს ჩვენთვის ჩვეული წითელი და მწვანე ფერების გარდა, კიდევ აგურის ფორმის მქონე ყვითელი ფერიც აქვს, რომელიც ხალხს აფრთხილებს, რომ ქუჩაზე გადასვლის დაწყება დაგვიანებულია, ხოლო ვისაც გადასვლა უკვე დაწყებული აქვს, დროულად უნდა გადავიდეს?

• **ბელგიური** ლუდი იუნესკომ კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა?



• **ერთი** ულუფა შემწვარი კარტოფილი – ფრის, ჰამბურგერის ჭამისა და ჭიქა კოლას დაყოლების შედეგად მიღებული კალორიების დასახარჯავად ადამიანს 7 საათის ფეხით სიარული სჭირდება?

• **ცხოვრების** მანძილზე თითოეული ჩვენგანი დაახლოებით 40 ტონა სხვადასხვა სახის სურსათს მიირთმევს?

• **ევროკავშირის** ქვეყნებში ოფიციალურ ხილად ითვლება კიტრი და პამიდორი, ასევე, რევანდი, ნესვი, საზამთრო, კოჭა, ტკბილი კარტოფილი და გოგრა. ეს კანონი ამ მცენარეებიდან მურაბებისა და ჯემების წარმოების საშუალებას იძლევა, რომლებიც, ამ ორგანიზაციის წესებით, მხოლოდ ხილისგან უნდა კეთდებოდეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5837; ევრო - 2.7351;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2090;
100 რუბლი - 4.4784; თურქული ლირა - 0.7189;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4495;
1000 სომხური დრამი - 5.3108.

ამინდი 1 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე -6,	დღე +16
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +5,	დღე +24
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +18
თბილისი:	ღამე +3,	დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge